ცდები ჩატარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეგობრულ-შემეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის ჰიის კვების კათედრაზე.

ჩვენი ცდის შედეგებით აღმოჩნდა, რომ სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშნებით განსხვავებული ზოგიერთი ჯიშისა და ჰიბრიდის ჰიისა და კუპრის ფაზის ხანგრძლივობა, ასევე გრენის ფორმირებისა და ხეკოს წარმოქმნის ვადები განსხვავებულია. ასე, მაგ., გაზაფხულზე, ანალოგიურ პირობებში ასკოლის ჯიშის ჰიის ფაზა თუ 33,5 დღეს გაგრძელდა, კუპრისა კი 16 დღეს, ჩინური 101-ის შესაბამისი ფაზები 28 და 11 დღეში დასრულდა (ცხრ. 1).

ცხრილი 1

სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშნებით განსხვავებულ ფუთის აბრეშუმნეველას ჯიშების განვითარების ზოგიერთი ფაზის ხანგრძლივობა და კერძების ფორმირების დრო

ვარიანტი	ჰიის ფაზის ხანგრძლივობა დღეებში	კუპრის ფაზის ხანგრძლივობა დღეებში	გრენის ფორმირების დაწყების დრო კუპრის ასაკის მიხედვით დღეებში	ხეკოს წარმოქმნის დრო კუპრის ასაკის მიხედვით	კუპრისა და ჰიის ფაზის ხანგრძლივობა ერთად დღეებში
ასკოლი	33,5	16	1 დღის	12 დღის	49,5
ჩინური 101	26,0	11	5 დღის	9 დღის	39,0
ასკოლი X ჩინური 101	30,0	14	1 დღის	12 დღის	44,0
ჩინური 101 X ასკოლი	30,0	13	3 დღის	11 დღის	43,0

ამ ჯიშების ჰიბრიდულ კომბინაციებში დომინანტური აღმოჩნდა ასკოლის ჯიშისათვის დამახასიათებელი ჰიისა და კუპრის ხანგრძლივობის ნიშან-თვისება (ასკოლი X ჩინური 101-ი და ჩინური 101 X ასკოლი), რომელმაც შესაბამისად შეადგინა პირველისათვის 30—14, ხოლო მეორისათვის—30—13 დღე.

ჩვენს ცდებში ყურადღება გვაქაზავილეთ გრენის ფორმირებისა და ხეკოს წარმოქმნის ვადებზე. აღმოჩნდა, რომ ერთნაირ ტემპერატურულ პირობებში (23—24°) გრენის ფორმირება და მისი ხეკოთი დაფარვაც სხვადასხვა ჯიშებსა და ჰიბრიდებში განსხვავებულ ვადებში ხდება. ამასთან ერთად, გრენა უფრო ადრე იწყებს ფორმირებას მონოკულტურულ ჯიშებში, ვიდრე ბიოლოტინურებში. ასე, მაგალითად, თუ ასკოლის ჯიშისათვის გრენის ფორმირების და-



წყება ერთი დღის ქუბრში უკვე აღინიშნებოდა, ჩინურ 101-თვის ეს პროცესი საშუალოდ 5 დღის ასაკის ქუბრში შეიმჩნევა. სამაგიეროდ ამჟამინდელი გრენის ზეჰოთი დაფარვა უფრო ხანმოკლე დროში მოხდა (საქოლი 12 დღეში, ცხრ. 1).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საცდელ ჯიშებსა და ჰიბრიდებში ისწავლებოდა დიაპაუზის ხანგრძლივობა, მისი მოხსნის ვადები, გრენის ნადებების ხარისხი დიაპაუზის ერთგვაროვნების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ვოლტინოზის ჯიშებსა და მათ ჰიბრიდებში ჩანასახის დიაპაუზა არათანაბრად მიმდინარეობს.

ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში ზოგიერთი ჯიშის ან ჰიბრიდის ჩანასახი ნაცვლად იმისა, რომ დიაპაუზაში იყოს და ასეთ მდგომარეობაშივე იზამთრებდეს, ზოგჯერ ანახლებს განვითარებას და ჰია კვერცხიდან იწყებს გამოსვლას. ეს პროცესი ზოგჯერ რამდენჯერმე მეორდება როგორც ჯიშის, ისე ოჯახის შიგნითაც, რის გამოც ნაადრევად გამოსული ჰია და გრენაში ჩამკვდარი ჩანასახი უმიზნოდ იჯარგება და მცირდება გაზაფხულზე ნორმალური გრენის რაოდენობა.

ჩვენს ცდებში ასკოლის ჯიშის ინდივიდებისათვის დიაპაუზის ნაადრევი მოხსნა სრულიად არ აღნიშნულა მაშინ, როცა ბივოლტინური ჩინური 101-თვის იგი აგვისტოში შეიმჩნა, ე. ი. ნორმალურ დაზამთრებამდე 2—4 თვით ადრე. ამ ჯიშების ორივე ჰიბრიდული კომბინაცისათვის დიაპაუზის ნაადრევი მოხსნა აღინიშნა დაზამთრებამდე 3—4 თვით ადრე.

დიაპაუზის მიხედვით ნადებების ხარისხის დადგენისას აღმოჩნდა, რომ (ცხრ. 2) თუ მონოვოლტინური—ასკოლის ნადებების საერთო რაოდენობიდან ყველა (100%) მოზამთრე იყო, ბივოლტინურ ჩინურ 101-ში ასეთი ნადებები მხოლოდ 22% აღმოჩნდა, დანარჩენი 40% ბივოლტინურ, ხოლო 38% შერეულ ნადებებზე მოდიოდა. ამ ჯიშების ჰიბრიდულ კომბინაციაში (ასკოლი X ჩინური 101) მოზამთრე გრენამ 69,4% მიაღწია, შებრუნებულ კომბინაციაში კი (ჩინური 101 X ასკოლი) ეს მაჩვენებელი 30%-მდე დაეცა.

როგორც ჩანს, საწყისი ჯიშებიდან მდებრის ნიშან-თვისება დომინანტობს მოზამთრე გრენის განვითარებაში.

დიაპაუზის ხანგრძლივობის მიხედვით ერთნაირი, ან მიახლოებული ჯიშები, რომლებიც ერთმანეთთან ჰიბრიდულ კომბინაციას ქმნიან (ქართლი X თბილნი-იშ-3), მოზამთრე ნადებების რაოდენობით საკონტროლოს (ასკოლი) უახლოვდება (98%).

ვიხილავთ რა მიღებულ შედეგებს, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

მკვლევართა გარკვეული ჯგუფი [1, 2, 3] ამტკიცებს, რომ ოპტიმალურ პირობებში ჰუბრის განვითარების დროს დიაპაუზის პორმონის აქტიური გამოყოფა ჰუბრობის 1—5 დღეს ხდება. ამავე პერიოდში ხდება კვერცხის ფორმირების დაწყება და მიმდინარეობა, ჩვენს ცდებში კი ჩინური 101 ჯიშისა და ჰიბრიდ ჩინური 101 X ასკოლში, დიაპაუზის პორმონის აქტიური მოქმედების შემდეგ (დაჰუბრებიდან მეორე-მეექვსე დღე) იწყება. ასეთ მომენტში ფორმირებული კვერცხი (გრენა) საკმაო და თანაბარი რაოდენობით ვერ მიიღებს ჰემოლიმფიდან დიაპაუ-

ზის ჰორმონს და ჩანასახი უღიაპაუზო ან ხანმოკლე დიაპაუზიანი ვითარდება. პირველი დამახასიათებელია ჩინური 101-თვის, ხოლო მეორე — პიბრილინ-თვის ჩინური 101 X ასკოლი.



ჩანასახის დიაპაუზის ნაადრევი მოხსნის ვადები და გრენის ნადებების ხარისხი დიაპაუზის ერთგვაროვნების მიხედვით

ჯიშებისა და ჰორმონების დასახელება	ნადებების მდგომარეობა %-ობით			ნადებებში გრენის საშუალო რაოდენობა ცალკეობით	ბივოლტინური და ხანმოკლე ვა. პაუზიანი გრენა შეყვანილ ნადებებში %	ჰიის ნაადრევად გამოსვლის თარიღი
	მოზაშიარე	ბივოლტინური	შერეული			
ასკოლი (კონტრ.)	100,0	0,0	0,0	421	0,0	—
ჩინური 101	22,0	40,0	36,0	536	63,0	VIII, X
ასკოლი X ჩინური 101	69,4	10,2	20,4	445	5,8	IX
ჩინური 101 X ასკოლი	30,0	20,0	50,0	468	19,0	—
ქართლი X თბილისი-3	98,0	0,0	2,0	446	41,0	VIII, X

ამრიგად, თუ კვერცხების უმეტესი ნაწილის ფორმირების პერიოდი არ ემთხვევა დიაპაუზის ჰორმონის აქტიური გამოყოფის მომენტს, მაშინ ოჯახის შიგნით უთანაბრო ხანგრძლივობის დიაპაუზიანი ინდივიდები ვითარდებიან.

ჰიბრიდებში მწერის ნორმალურ განვითარებაზე დიდ გავლენას უნდა ახდენდეს მასში მონაწილე ჯიშების დიაპაუზის ხანგრძლივობა, რადგან, როგორც ჩვენი ცდებიდან გამოიკვეთა, დიაპაუზის ხანგრძლივობის სხვაობის სიდიდე პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ნაადრევად გამოსული ჰიისა და ნორმალური გრენის დანაკარგების რაოდენობასთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს ცდებში ისწავლებოდა დიაპაუზის ხანგრძლივობა და ესტივაციის პერიოდში ჩანასახის მრავალსტადიურობა თუთის აბრეშუმხვევიას ჯიშებისა და კვების სეზონების მიხედვით, ასევე, განსხვავებულ დიაპაუზიან ჯიშთა ჰიბრიდებში მრავალსტადიურობის მემკვიდრული ხასიათი.

ჩატარებული ცდის შედეგები გვიჩვენებენ, რომ დიაპაუზის უთანაბრო განვითარება გამოკვების ყველა სეზონში აღინიშნება. გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე გვხვდება როგორც დიაპაუზირებული (A, B₁, B₂, B₃), ისე დიაპაუზიდან გამოსული (საშუალო და უფროსი—Γ, Δ, E) სტადიები.

მრავალსტადიურობა განსაკუთრებით ბივოლტინურ იაპონური 110 და ჩინური 101 ჯიშებში შეიმჩნეოდა, როცა ჩანასახი ესტივაციის პერიოდში 10—14 სხვადასხვა სტადიაში გვხვდება.

უკანასკნელ ათწლეულში გამორკვეულ იქნა, რომ თუთის აბრეშუმხვევიას ჩანასახი დიაპაუზას პირველ-ოთხ (A, B₁, B₂, B₃) სტადიაში ვადის, ნა-



ცვლად მხოლოდ პირველი (A) სტადიისა. მომდევნო სტადიები კი უკვე უკონკრეტოა გამოსულია (Г, Д, Е). ამ უკანასკნელთა რაოდენობა უარყოფითად გავლენას ახდენს კავშირშია გაზაფხულზე ნორმალური გრენის მანქანებელთან.

ჩვენს ცდებში დიაპაუზიდან გამოსული სტადიების დიდი პროცენტია ისევ ბიოვოლტინურ ჯიშებში შეიმჩნეოდა. მაგალითად, გაზაფხულის გამოკვებიდან იაპონური 110 დეკემბრის დასაწყისშივე 14 სტადიაში განვითარდა, ამათგან 83% დიაპაუზიდან გამოსული იყო. შემოდგომის გამოკვებიდან ეს მანქანებელი 24%-მდე შემცირდა. იმავე სეზონებში ჩინურ 101-ში ამ მანქანებელმა შესაბამისად შეადგინა 58,4—10%. წინააღმდეგ მონოვოლტინური ჯიშებისა, როცა ყველა ჩანასახი დიაპაუზირებულ სტადიაში (93,4—100%-მდე) აღმოჩნდა.

ამ ჯიშებიდან მიღებულ პიბრიდებში დომინანტობს მონოვოლტინური ჯიშების ემბრიოგენეზის მეტაკვიდრული ნიშანი. მაგალითად, პიბრიდ ასკოლი X იაპონური 110-ის ჩანასახი 4 სხვადასხვა სტადიაში განვითარდა, რომელთაგან 87.5% აღმოჩნდა დიაპაუზაში.

შებრუნებულ კომბინაციაში (იაპონური 110 X ასკოლი) კი 30%-მდე შემცირდა (ცხრ. 3). პოლიკვანთ მეორე მაგალითსაც, ქართლის ჩანასახი ოთხ დიაპაუზირებულ სტადიაში განვითარდა, ხოლო პიბრიდში ქართლი X ჩინური 101-თან ათ სტადიაში. ამათგან დიაპაუზაში იყო მხოლოდ 69,4%. აქაც იმძლეა ქართლის მონოვოლტინურმა ნიშან-თვისებამ.

სხვადასხვა ხანგრძლივობის დიაპაუზიანი ჯიშების V ასაკის ჭიისა და ჭუპრის განსხვავებულ ევოლოგიურ პირობებში განვითარების შემდეგ, ხახის ქვედა კვანძის ნეიროსეკრეტული უჯრედების განლაგების ტიპის, რაოდენობისა და ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მონოვოლტინური ჯიშის ქართლის ჭიები, რომლებიც მეხუთე ასაკში იკვებებოდნენ ერთ კოლოფ ჭიანჭვე 1000 კგ ფოთლის ანგარიშით 20° ტემპერატურაზე და მათი დაჭუპრებაც აღნიშნულ ტემპერატურაზე მოხდა, კარგად შეიმჩნევა ერთი დღის ჭუპრის ხახის ქვედა კვანძში A და B ტიპის ნეიროსეკრეტული უჯრედების 5 ჯგუფი; მათგან 2 ჯგუფი შეიცავს მხოლოდ A ტიპის დიდი ზომის 2—2 უჯრედს, ხოლო 3 ჯგუფი B ტიპის 3—3 უჯრედს. ნეიროსეკრეტული უჯრედების ზუთივე ჯგუფი განლაგებულია ნერვული კვანძის ლატერალურ ნაწილში. A ტიპის უჯრედები ხასიათდება დიდი რაოდენობის სეკრეტით (V სტადია), ბირთვი პატარაა 2—2 ან 4—4 ბირთვით. ზოგ უჯრედში სეკრეტის სიუხვის გამო ბირთვი კარგად აღარ ჩანს. ასეთ უჯრედებს განვითარებული აქვთ აქსონი. A უჯრედები კარგად იღებება კარმინით და პარალელპილდუქსინით, ვიდრე B ტიპის და ბევრად კარბობს ამ უკანასკნელს ზომით.

ბიოვოლტინური ჯიშის იაპონური 110 ჭიისა და ჭუპრის ანალოგიურ პირობებში განვითარებისას, ნეიროსეკრეტული უჯრედები უმეტესად ხახის ქვედა კვანძის მედიალურ ნაწილში გვხვდება. A და B ტიპის უჯრედები, რომლებიც განლაგებულია 2—3 ჯგუფად, ზომით 10-ჯერ ნაკლები და სეკრეტით ღარიბი არიან (II—III სტადია) ქართლის ანალოგიურ უჯრედებზე.

ერთნაირ დიაპაუზიანი ჯიშებიდან მიღებული პიბრიდის (ქართლი X თბილისი-3) ინდივიდებში ხახის ქვედა კვანძის ნეიროსეკრეტული უჯრედები უმეტესად მედიალურ ნაწილშია თავმოყრილი: A ტიპის უჯრედების ჯგუფი



აქაც ორია, იმ განსხვავებით, რომ თითოეულ ჯგუფში გაზრდილია ერთთა რაოდენობა 3-4 ცალამდე. უჯრედები ძირითადად სავსეა სტადიის (სტადია), ახასიათებთ აქსონი, რომლის საშუალებითაც ხდებუ პაუნის გამომწვევი ჰორმონის სისხლში გადასვლა. N ტიპის უჯრედთა ჯგუფი ორია, თითოში 3-3 უჯრედით. A უჯრედის მსგავსად; ისინიც სეკრეტის სიხვეთ გამოირჩევიან.

ცხრილი 3

ესტივაციის პერიოდში ჩანასახის დიაპაუნის ხანგრძლივობა და მრავალსტადიურობა კიბს გამოყვების სეზონებისა და ვოლტინობის მიხედვით

კიბი და პერიოდი	კიბის გამოყვების სეზონი	სტადიათა რიცხვი ჩანასახებში	დიაპაუნის მყოფი ჩანასახი %-ობით	დიაპაუნული გამოსული ჩანასახი %%-ობით
• ს კ ლ ო კ ნ ტ	ე	3	100,0	0,0
იაპონური 110	შ	14	17,0	83,0
სკოლი X იაპონური 110	ფ	4	87,0	12,5
იაპონური 110 X სკოლი	კ	5	30,0	70,0
ქართლი X იაპონური 110	ბ	4	98,0	2,0
თბ-4	გ	6	33,0	43,0
ჩინური 101	დ	10	41,6	38,4
თბ-4 X ჩინური 101	ე	6	45,0	35,0
ქართლი	ვ	4	100,0	0,0
ქართლი X ჩინური 101	ზ	10	67,4	30,6
თბილისური	თ	5	97,6	2,4
იაპონური X ჩინური 101	ი	6	0,0	100,0
თბ-4	კ	5	93,5	6,6
იაპონური 110	ლ	10	76,0	24,0
ჩინური 101	მ	3	90,0	10,0

ჩვენი ცდის მონაცემებით გამოირკვა, რომ განსხვავებული ხასიათის დიაპაუნური ჯიშების კიბისა და ჭუპრის ერთნაირ პირობებში განვითარების მიუხედავად, ახალგაზრდა ჭუპრის ხახის ქვედა კვანძის ნეოროსეკრეტული უჯრედების ფიზიოლოგიური მდგომარეობა სეკრეტის გამოყოფის ინტენსიუობის მიხედვით სხვადასხვაა. უჯრედში სეკრეტის სიჭარბე მონოვოლტინური ჯი-



შისა (ქართლი) და მონოკულტურული ჯიშების ჰიბრიდის (ქართლი X თბილნიშ-3) ერთი დღის კულტურა აღინიშნა, წინააღმდეგ ბიოლოგიური ინტენსიური 110-სა, როცა იმავე ასაკის კულტურის ხახის ქვედა კვანძის ნეკროტიზაცია უკრედების პლაზმა ლარობია სეკრეტით.

ჩვენი ცდის მონაცემების ეკონომიური გაანგარიშებით გამოირკვა, რომ განსხვავებულდიაპაუზიანი ჯიშების ჰიბრიდიზაციის დროს, როცა ჩინური 101 X ასკოლის ბიოლოგიური ნადებების რაოდენობა 20%-ს შეადგენდა, მოზაიკურის — 50%-ს, ხოლო ამ უკანასკნელიდან ნადრევიდ გამოსული ჭიისა — 19%-ს. 100 კოლოფ გრენაზე გადაანგარიშებით სულ დაიკარგება 29,5 კოლოფი და წარმოებას 100 კოლოფი გრენის დამზადება დაუჯდება 318 მან. და 60 კაპ.-ით მეტი.

თანაბარდიაპაუზიანი ჯიშების (ქართლი, თბილნიშ-3) ჰიბრიდიზაციის დროს გრენს დანაკარგი არ არის და კოლოფი გრენის ფასიც არ იცვლება.

ჩატარებული ცდების შედეგად შეგვიძლია გვაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. ერთნაირ ეკოლოგიურ პირობებში თუთის აბრეშუმხვევიას განსხვავებულდიაპაუზიანი ჯიშებისა და მათი ჰიბრიდების გრენის ფორმირება ერთდროულად არ ხდება: ა) ხანგრძლივდიაპაუზიანი ასკოლისათვის იგი იწყება დაკუმპრების პირველსავე დღეს, ხანმოკლე დიაპაუზიანი ჩინური 101-თვის კი 2—3 დღით გვიან ასკოლთან შედარებით; ბ) ამ ჯიშების ჰიბრიდულ კომბინაციებში გრენის ფორმირების ვადები შეტნაკლებად უახლოვდება ასკოლისას.

2. რამდენადაც განსხვავებულია თავისი ხანგრძლივობით ჰიბრიდული კომბინაციის საწყისი ჯიშების დიაპაუზა (ასკოლი, ჩინური 101), იმდენად უფრო მეტად განსხვავდება მათი ნადებების ხარისხი, ვითარდება როგორც მოზამთრე (30—69,4%), ისე ბიოლოგიური (20—10,2%) და შერეული ნადებები (50—20,4%) და მცირდება ნორმალური გრენის რაოდენობა.

3. მიახლოებული ან თითქმის ერთნაირი დიაპაუზიანი ჯიშების ჰიბრიდულ კომბინაციაში (ქართლი X თბილნიშ-3) ძირითადად მოზამთრე ნადებები (98%) მიიღება.

2. თუთის აბრეშუმხვევია ჩანასახი, ესტრეციის პერიოდში სხვადასხვა სტადიაში ვითარდება, რომელთაგან ზოგი დიაპაუზაშია, ზოგი კი გამოსულია დიაპაუზიდან:

ა) რამდენადაც დაშორებულია თავისი ხანგრძლივობით საწყისი ჯიშების დიაპაუზა, იმდენად მათ კომბინაციაში განსხვავებულია სტადიების რაოდენობა (10—14) და მათი ასაკი (A₂, B₁, B₂, B₁, Γ, Д, E)

ბ) ერთნაირი ან მიახლოებული ხანგრძლივობის დიაპაუზიანი ჯიშების ჰიბრიდიზაციის დროს ჩანასახის სტადიების რაოდენობა მცირეა (3—4) და ყველა დიაპაუზაშია.

5. თუთის აბრეშუმხვევიას დიაპაუზის ხანგრძლივობა განისაზღვრება ხახის ქვედა ნერვული კვანძის ნეიროსეკრეტული უკრედების მოქმედებით.



ИЗУЧЕНИЕ НЕКОТОРЫХ НЕИРОСЕКРЕТОРНЫХ КЛЕТОК ТУТОВОГО
ШЕЛКОПРЯДА И ИХ РОЛЬ В РАЗВИТИИ ИНДИВИДОВ С РАЗНЫМ
ХАРАКТЕРОМ ДИАНАУЗЫ

Резюме

Опыты проведены на учебно-исследовательском факультете шелководства в 1972-73 гг., в результате которых установлено следующее:

Чем сильнее отличаются начальные породы по длительности дианаузы /Асколи, Китайская-101/ тем больше неоднородность кладок грены /зимующие, бивольтинные, смешанные/и наоборот близкие или аналогичные породы по длительности дианаузы в гибридах дают однородные кладки /Картли, ТбилНивш-3/.

Зародыш тутового шелкопряда в период эстивации находится в различных стадиях развития.

Породы сильно отличающиеся характером дианаузы в гибридах дают большую разностадийность зародыша /10-14 стадии/ и наоборот.

Формирование грены различных парод тутового шелкопряда совершается неодновременно.

Так-как длительность дианаузы определяется дееспособностью невосекреторных клеток подглоточной ганглии и гормон дианаузы выделяется в куколичной фазе, поэтому совпадение или не совпадение массового формирования грены и активного состояния невосекреторных клеток подглоточной ганглии имеет определенное значение в однородности дианаузы.

Невосекреторные клетки расположены несколькими группами медиальной и латеральной части подглоточной ганглии.


В группах собраны клетки типа А и Б. Первые наиболее крупные, особенно когда они находятся в активном состоянии.

По пародам количество групп и клеток типа А варьирует от 4-х до 2-х, а группы типа Б 2-6. В каждой группе встречается 2-4 клетки типа А и 3-3 типа Б.

У молодых куколок /1-3 дня/ моновольтиной породы Картли и Гибрида Картли ТбилНивш-3, почти все невосекреторные клетки находятся в активном состоянии, т. е. клетки наполнены секретом /V—VI стадия/, что не наблюдается у бивольтиной породы Китайской 101.

ლიტერატურა — Литература

1. ლ. გიგოლაშვილი, ქ. გოგინაშვილი, ნ. ლაბარტკავა. თუთის აბრეშუმევევას ჩანასახის მრავალსტადიურობის განვითარებაში ნეოსეკრეტული უჯრედების მემკვიდრეულობის როლი. საქ. სსი. მოხსენებათა თეზისები, 1974.

- 
2. Е. Ф. Гоголия, Л. С. Гигелашвили. Роль подглоточного ганглия в ~~живо-~~
товых биологических процессах у тутового шелкопряда. Жри. Шелк. № 1,
1976.
3. Э. Петросян. Морфофизиологическая разноразличность яиц ~~тутового~~
копряда и его биологическо-хозяйственное значение. Автореферат, 1967.
-



ი. ზოლნიძე, ვ. კარაჯაშვილი,
 ა. მნილაძე

ხელოვნური ცახების გავლენა თეთის აბრეშუმსაშენიან პარკის ხარისხზე

აბრეშუმზევევის პარკის ასახვევად საქართველოში ჯერჯერობით იყენებენ ბალახოვანი და მერქნოვანი მცენარეებისაგან დამზადებულ ცახებს. მათი დამზადება აუცილებელია უოველწლიურად, რაც ვარკვეულ სიძნელეებთან და შრომის ზედმეტ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. მეაბრეშუმეობის სისტემაში შემავალი კვლევითი დაწესებულებები წლების მანძილზე მუშაობდნენ უკეთესი საცახე მასალის შერჩევისა და გამოყენების საკითხებზე.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის მიერ [1] რეკომენდებულია ბუნებრივი ტიპის ცახებიდან: რცხილა, გვირილა, ტყის ცოცხი, სატაცურო. წიწმბატურა და სხვ. საქართველოს მეაბრეშუმეობის კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული ცდებით [2] დადგენილია, რომ ხეზით გამოწნულ ხის ჩარჩოებიან ცახზე ახვეული პარკი ბევრად (12,3%-ით) უკეთესი ხარისხისაა ბუნებრივი ცახებიდან მიღებულ პარკთან შედარებით.

მ. ორთოიძის [3] ცდებით დადგენილია, რომ ცახის უკრათა სიდიდე და ფორმა განსაზღვრავს პარკის ხარისხს.

შუა აზიის მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მათი პირობებისათვის ხელოვნური ცახებიდან ყველაზე იაფი და ნაკლები წუნი პარკის მომცემია ბრიჯის ნამჯისაგან დამზადებული „ზღარბის“ ფორმის ცახები [4].

ამჟამად წარმოებაში ფართოდ იცდება ხელოვნური—პოლიმერული მასალისაგან დამზადებული პლასტმასის ცახები, რომელთა გამოყენება მეაბრეშუმეებისათვის ტექნიკურად და ეკონომიურად უფრო ხელსაყრელია.

შუა აზიის მანქანათმშენებლობის სადგურში გამოიყიდა სინთეზური მასალისაგან დამზადებული სამი ტიპის ხელოვნური ცახი. მათგან უკეთესი მანვენებლები, ე. ი. ნაკლები რაოდენობის ტექნიკური პარკი მიღებულა „სანიიშის“ (ე. ი. შუა აზიის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტში დამზადებული ცახები) ტიპის ცახის გამოყენების შემთხვევაში. „სანიიშის“ ტიპის ხელოვნური ცახი წარმოადგენს სამკუთხედი ფორმის უჯრებისაგან შემდგარ ერთი სიბრტყის მასალას. თითოეულ უჯრას სამივე მხარეს დამაგრებული აქვს მრგვალი ფორმის



2,5 სანტიმეტრის სიგრძის ღეროები. ცახის ჩადგმის პომენტისათვის აღნიშნული საცახე მასალა თაროს სიგრძის მიხედვით ცილინდრული ფორმის ნაჭურჭის პარკის ახვევის დროს აბრეშუმის ჭიას [5].

ბ ი ზ ლ ი მ ი რ ი თ ე ჯ

„სანიმი“-ის ცახები თარი ფერისა და ზომისაა. დიდი ზომის ცახში უჯრათა რაოდენობა 112—120 ცალია, მცირე ზომისაში კი 60—65. ფერის მიხედვით ორივე ზომის ცახი თეთრი და წითელი ფერისაა.

ხელოვნური ტიპის ცახი შეიმუშავა მეაბრეშუმეობის ერევნის ზონალურმა სადგურმა, რომელიც შედგება პლასტმასის ოთხი თხელი ფირფიტისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია 2,5 სანტიმეტრით. თავსა და ბოლოში აქვთ შემაერთებელი მცირე ზომის ფირფიტები. ფირფიტები წრისებურად დაზერეტილია აერაციისათვის. თითოეული ცახის სიგრძე 36 სმ-ია, სიგანე 25 სმ, რომელშიც დაახლოებით 40—45 ცალი ჭია ახვევს პარკს.

მრავალჯერადი გამოცდების ტექნიკის საკითხის დამუშავების დროს იტალიაში 1974 წ. ჩაკომელიმ გამოიყენა ხელოვნური ცახები. იგი წარმოადგენს ხის თხელი ლარტყებისაგან შეკრულ ჩარჩოს, რომელსაც ერთი მხრიდან მიმაგრებული აქვს პლასტმასის მასალისაგან დამზადებული ბაღე კვადრატული უჯრებით. ასეთი ფორმის ორი ან რამდენიმე ჩარჩო ფრთხილად ეწყობა ერთიმეორეზე და თავსდება ჭიის გამოსაყვებად გამოყენებულ თაროზე პარკის ასახვევად.

1972—1973—1974 წწ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით ფაკულტეტზე გამოიკადა „შუააზიის“ მეაბრეშუმეობის ინსტიტუტში და ერევნის ზონალურ სადგურში დამზადებული ახალი ტიპის პლასტმასის ცახები. საკონტროლოდ აღებული იყო ბუნებრივი ცახი შორაქანი (კერმეკი).

პარკი დახარისხდა თუთის აბრეშუმხვევიას ნედლი პარკის მოქმედი სტანდარტის შესაბამისად, დახარისხების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პარკის გარსზე ცახით გამოწვეულ დეფექტს. ცახით გამოწვეული დეფექტების სიდიდე (ტყეჩი, ჩაღრმავება) იზომებოდა შტანგენთარგალით.

საბოლოოდ ტყეჩის ზომის მიხედვით პარკი გაიყო სამ კატეგორიად: ხარისხობრივი (რჩეული, I—ხარისხი, II—ხარისხი და III—ხარისხი). წუნი და ტყეჩით გამოწვეული მახინჯი პარკი.

1972—1973 წლების საშუალო მონაცემების მიხედვით ცდამი მონაწილე ცახებიდან მეტი რაოდენობის ხარისხობრივი და მცირე რაოდენობის ტყეჩით გამოწვეული პარკია მიღებული შუა აზიის ინსტიტუტში დამზადებულ პლასტმასის ცახებიდან 94,5%, წინააღმდეგ 75,1% და 79,2%-ისა (ცხრ. 1). წუნი პარკის რაოდენობა კი 1,2% წინააღმდეგ 8,3—9,1%-ისა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერევნის ცახებზე ახვეული პარკი დიდი რაოდენობით ნაპერტყულს, დომფალსა და ტყეჩიან პარკს იძლევა, რაც გამოწვეულია ფირფიტებს შორის მანძილის სიმცირით.

1974 წელს თითოეული ტიპის ცახიდან აღებული იყო ათი განმეორება, განმეორებაში, ე. ი. თითოეულ თაროზე, თავსდებოდა 200 ცალი პარკის ასახვევად მომწიფებული აბრეშუმის ჭია. პარკი ცახებიდან ჩამოიხსნა და დახარისხ-



ნედლი პარკის ხარისხობრივი შენადგენლობა %-ით
1972—1973 წწ.

ეროვნული
გეგმვის

ცახის სახეობა	ხარ-სხო- ბრივი პარ- კი	დომილი პარკი	მე- ტე	ტყე-თ გამოწვეუ- ლი წუნი პარკი	ტყე-თ გამოწვეუ- ლი მახინ- ჯი პარკი	ლაქი- ანი პარკი	ნაპერ- ტაუ- ლი
„სანიში-ს“ პლასტმასის ცახები	94,5	3,6	0,5	1,2	0,1	0,1	0,6
მეაბრეშუმეობის ერევის ხადგურის პლასტმასის ცახები	75,1	10,0	2,6	8,5	2,4	0,6	1,7
ბუნებრივი-შორაქანი (კერმევი) კონტრალი	79,2	5,3	1,1	9,1	5,1	0,2	1,0

და სამ კატეგორიად: ხარისხობრივი, მახინჯი და წუნი (ცახით გამოწვეული). მე-2 ცხრილში მოტანილია ხარისხობრივი პარკის მაჩვენებლები, დამუშავებული ვარაიციული სტატისტიკით.

ცხრილი 2

ცახის გავლენა პარკის ხარისხობრივ მაჩვენებელზე 1974 წ.

ცახის დასახელება	პარკის ხარისხის მაჩვენებელი		
	ხარისხობრივი პარკი	სხვაობა	
„სანიში-ს“ პლასტმასის ცახი	170	+23	+21
მეაბრეშუმეობის ერევის ხადგურის პლასტმასის ცახი	149	+2	100
ბუნებრივი-შორაქანი (კერმევი)	147	-	100
უმცირესი სარწმუნო სხვაობა	—	6,1	6,1

თუ ბუნებრივ ცახს შორაქანს (კერმევი) ჩავთვლით 100-ად, მაშინ „სანიში“-ის ცახი 23 ცალით უკეთესია საკონტროლო ვარიანტთან შედარებით, ხოლო ერევის ცახთან შედარებით კი 21 ცალით. მაშასადამე „სანიში“-ის ცახის ვარგისიანობა სარწმუნოდ უკეთესია, ხოლო ერევისა და შორაქანის (კერმევის) ცახები არასარწმუნოა.



1. შუაზიის მეაბრეშუმეობის კვლევით ინსტიტუტში დაქვემდებარებული პლასტმასის ცახები, ბუნებრივ ცახ შორაქანთან (ცერმეკი) შედარებით რაოდენობის ხარისხობრივ და მეტი რაოდენობის დეფექტურგარსიან პარკს 94,5% წინააღმდეგ 79,2%-ისა და 1,2% — წინააღმდეგ 9,1%-ისა.

2. ერევნის მეაბრეშუმეობის ზონალურ სადგურში დამზადებული პლასტმასის ცახები „სანიიშ“-ის ცახებთან შედარებით ნაკლები რაოდენობის ხარისხობრივ და მეტი რაოდენობის ცახით გამოწვეულ წუნ პარკს იძლევა: 94,5% წინააღმდეგ — 75,1%-ისა და 1,2% — წინააღმდეგ 8,3%-ისა.

3. „სანიიშ“-ის ცახების ხმარების დროს მიღებული მასალის ანალიზით (ვარაიკიული სტატისტიკის გამოყენებით) მისი ვარგისიანობა სარწმუნოდ უკეთესია, ხოლო მეაბრეშუმეობის ერევნის სადგურის ხელოვნურისა და შორაქანის ცახებიდან მიღებული მასალა არასარწმუნოა.

И. М. ДОЛИДЗЕ, К. В. КРАЦАШВИЛИ,
А. И. ДЗНЕЛАДЗЕ

ВЛИЯНИЕ ИСКУССТВЕННЫХ КОКОШНИКОВ НА КАЧЕСТВО КОКОНОВ ТУТОВОГО ШЕЛКОПРЯДА

Резюме

Для повышения качества коконов необходимо провести ряд мероприятий, среди которых значительное место занимают искусственные кокошники.

Опыты по изучению экономически эффективных пластмассовых кокошников, изготовленных в среднеазиатском научно-исследовательском институте шелководства, проведены в 1972-1974 гг. на кафедре-отделении первичной обработки коконов факультета шелководства Груз. СХИ. Контролем взят естественный кокошник типа Шорокани (кермек).

В результате работы установлены виды брака и дефекты кокошником оболочки путем сортировки коконов, вызванные в результате действия кокошников. Размер брака измерялся штангенциркулем.

Сопоставляя данные сортировки опытных коконов с контрольными, установлено, что при использовании искусственных кокошников заготовленных в Средней Азии количество сортовых коконов (94,3%) против 75,1 в контроле.

Таким образом, при использовании искусственных (пластмассовых) кокошников в производственных условиях улучшится качество и снизится количество дефектных коконов, что с одной стороны увеличит доход шелководов, а с другой обеспечит шелковую промышленность высококачественным сырьем.



1. ი. დოლიძე. ცახების გავლენა პარკის ხარისხზე. თბ., 1947.
2. ვ. ლობჯანიძე, ო. კვიციანიძე, ქ. კრაწაშვილი. ფაქტობრივად გამოკვლევით მუშაობებში ხელშეწყობილი ცახები. თბ., 1955.
3. მ. ორთოიძე. პარკის ფორმის შესწავლის საკითხისათვის. ავტორეფერატი, 1951.
4. Н. Г. Багаутдинов. Установление лучших типов кокошников, дающих наименьший процент дефектных коконов. Отчет САННИИШ, 1948.
5. Н. Шаринов, И. Эралимов. Новые кокошники. Жри. Шелк. № 3, 1974.
6. Диего Джорджи. Новый тип кокошника. Жри. Progresso Agricolt., № 5, 1964.



სოფლის წითელი დროშის ორდენისადაც

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომათა, ტ. XCVIII, 1976
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XCVIII, 1976

მ. ოზიაშვილი, ა. ბარჯანიშვილი

საქართველოში გავრცელებული აბრეშუმის პიის ჰიბრიდებისა და მათი გამოყვანილი ფინდა ჯიშების პარკის მოსავლოვნობა და ბუნებრივი მარცხი

ამ უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა, რომ როგორც პარკის საერთო მოსავალი, ისე I—II ხარისხის პარკის რაოდენობა მეტია წმინდა ჯიშებში შესაბამის ჰიბრიდულ კომბინაციებთან შედარებით. ეს მოვლენა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ აბრეშუმის მწარმოებელ სხვა რესპუბლიკებშიც აღინიშნება (უზბეკეთი, უკრაინა და სხვ.). უკრაინის მეაბრეშუმეობის საცდელი სადგურის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ე. ფ. ბონდარენკო [1] უკრაინის მეაბრეშუმეობის სამმართველოდან მიღებულ მასალაზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ჰიბრიდის სიცოცხლისუნარიანობა და პარკის მოსავალი მეტია წმინდა ჯიშებში, ვიდრე შესაბამის ჰიბრიდებში. ავტორი ამის მიზეზად ასახელებს მარტივი ჰიბრიდების მისაღებად ერთ დაწესებულებაში, ხშირად ერთი სელექციონერის მიერ გამოყვანილი ჯიშების შეჯვარებას, რაც უდაოდ საგრძნობლად ამცირებს ჰეტეროზისის ინტენსივობას, რადგან ერთი და იგივე კლიმატური პირობები და სასელექციო მუშაობის ერთნაირი მიმართულება მოქმედებს გენოტიპის ჩამოყალიბებაზე.

გარდა ამისა, შემდეგ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ჯიშის 4—5 წელიწადში გამოყვანა, როდესაც მასში არ არის ჩამოყალიბებული მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტებს შორისაც შეიქმნა აზრი, რომ სამრეწველო ჰიბრიდები ჰეტეროზისის შემცირების გამო არ ამკლავებენ მოსალოდნელ უპირატესობას წმინდა ჯიშებთან შედარებით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს წარმოების პირობებში გამოყვანილი წმინდა ჯიშებისა და მათი ჰიბრიდების პროდუქტიულობის შესწავლა. ამ მიზნით გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობაში ჩატარდა დარაიონებული სამრეწველო ჯიშების, მათი ჰიბრიდებისა და მალაპროდუქტიული, დასანერგად გადაცემული ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოკვება თითოეულისა 10 კოლოფის რაოდენობით.

მიღებული პარკი პირველადი დამუშავების შემდეგ გადატანილ იქნა თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში (თითოეულ წელს დაახლოებით 1200 კგ). სადაც შესწავლილი იყო მათი ტექნოლოგიური მაჩვენებლები.



წარმოებაში გამოკვებულნი წმინდა ჯიშების და ჰიბრიდების პარკის მოსავალი ერთი გ მურიდან, როგორც 1-ელ ცხრილში მოტანილი მონაცემებისა, 1,8 კილოგრამიდან 2,3 კილოგრამის ფარგლებში მერყეობს ტიპურად სოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდის კომისიის მიერ იმავე ჯიშებისა და მათი ჰიბრიდების წარმოებაში გამოკვების შედეგად მიღებული მაჩვენებლებიქა.

აბრეშუმის მასის შემცველობით, ანუ აბრეშუმთანობით და პარკის საშუალო წონით, წმინდა ჯიშებისა და მათი შესაბამისი ჰიბრიდების პარკი თითქმის ერთნაირი მაჩვენებლებით ხასიათდება. მათ შორის შედარებით უკეთესი მონაცემები აქვთ ახალ პერსპექტიულ ჯიშებს—თბილისურს, ივერიას და მათ შესაბამის ჰიბრიდებს — 18—19% აბრეშუმთანობა და 1,76—1,77 გ პარკის საშუალო წონა.

ძაფსახვევ წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარკის მოცულობის გარდა ფორმასაც. ოვალური ფორმის პარკი უკეთესად იხვევა, ვიდრე მოგრძო ფორმისა. პარკის ფორმა ისაზღვრება სიგრძის შეფარდებით პარკის სიგანესთან და ინდექსით აღინიშნება. როგორც ამას პირველ ცხრილში მოცემული მასალა გვიჩვენებს, ერთგვარი კანონზომიერებაა მიღებული—პარკის მოცულობის, ანუ სიმსხოს მატების შესაბამისად ინდექსი კლებულობს.

ცხრილი 2

აბრეშუმის კიბის ზოგიერთი ბიოლოგიური და პარკის მორფოლოგიური მაჩვენებლები (1973—1974 წლების საშუალო)

აბრეშუმის ჯიშებისა და ჰიბრიდების დასახელება	მაჩვენებლები				პარკის პარტიების პროცენტული შედეგნილობა ყალიბების მიხედვით და ინდექსი						
	გამოკვებულ მურის რაოდენობა გ-ით	პარკის საშუალო წონა 1 გ ყალიბიდან ან-თათი	პარკის საშუალო წონა გ-ით	ნელი პარკის აბრეშუმთანობა %-ით	წერტილი 16-18 %-ით	ინდექსი სიგრძის შეფარდება სიგანესთან	საშუალო 16-19 მმ %-ით	ინდექსი	მსხვილი 19-22 მმ %-ით	ინდექსი	
კახური იმერული	226,5	2,0	1,68	17,3	23,24	1,95	63,36	1,86	13,40	1,73	
კახური X იმერული	236,4	2,3	1,68	16,9	22,03	1,95	63,97	1,86	14,00	1,71	
კახური X იმერული	216,3	1,8	1,62	17,1	24,53	1,92	63,39	1,87	12,00	1,71	
თბილისური	224,8	2,2	1,71	17,5	21,48	1,96	64,02	1,88	14,50	1,75	
ივერია	233,6	2,0	1,68	19,1	13,94	1,96	63,06	1,77	23,00	1,66	
ივერია X თბილისური	213,4	2,2	1,76	17,8	31,07	2,01	53,27	1,80	10,66	1,68	
ივერია X თბილისური	233,2	2,2	1,76	19,0	19,45	1,93	63,72	1,79	16,83	1,68	
ივერია X თბილისური	195,0	2,0	1,77	18,4	22,68	1,93	60,63	1,83	16,69	1,66	

ინდექსი, ანუ სიგრძის შეფარდება სიგანესთან, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით წერტილ პარკში აღინიშნება და ჯიში ივერიას შემთხვევაში პარკის სიგრძე ორჯერ სჭარბობს სიგანეს.

საშუალო ყალიბის პარკში ინდექსის მაჩვენებლები შედარებით დაბალია და 1,77-დან 1,88 ფარგლებში მერყეობს, ხოლო მსხვილ პარკში ეს მაჩვენებელი



ბელი 1,66-დან 1,75-მდეა. ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ჯიშით ბობი-ლისური ხასიათდება, რადგან პარკი შედარებით სხვა ჯიშებთან შედარებით უკეთესი ვენებლების მიღება, რაც თბილისურისა და მისი პირდაპირი ჰიბრიდის პარკში აღინიშნება და საცდელად აღებული ჯიშებისა და ჰიბრიდების პარკთან შედარებით მეტი უპირატესობით ხასიათდება (ცხრ. 3).

ჩვენ მიერ წარმოების პირობებში გამოცდილი ჯიშებისა და ჰიბრიდების პარკის ხარისხის საბოლოო შეფასებისათვის გამოვიყენეთ საკავშირო სოფლის მეურნეობის აკადემიის მეაბრეშუმეობის სექციის მიერ მრეწველობის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ნორმატივები, ე. წ. ბალური სისტემა [7]. ამ სისტემით შეფასებული ქულების რაოდენობა მოცემულია მე-3 ცხრილში.

როგორც ნედი პარკის აბრეშუმეობაში შეინიშნებოდა, ხმელ პარკშიც აბრეშუმეობის უფრო ნაკლები მაჩვენებლით დარაიონებული ჯიშები კახური, იმერული და მათი ჰიბრიდები ხასიათდებიან (46,02-დან—46,76⁰/ო-მდე). ხოლო პერსპექტიულ ჯიშებში და მათ ჰიბრიდებში პარკის აბრეშუმეობა შედარებით მაღალია.

ცხრილი 2

აბრეშუმეუებას ჯიშებისა და ჰიბრიდების შეფასებისათვის დაშვებული ხარისხობრივი მაჩვენებლები და დროებითი ნორმატივები

ხარისხობრივი მაჩვენებლები	დროებითი რეკომენდებული ნორმები	ქულების ნორმა
პარკის ერთფეროვნება %-ობით	არანაკლები 50,0	5
ხმელი პარკის აბრეშუმეობა %-ობით	არანაკლები 48	10
პარკის ძაფის სიგრძე მ-ბით	არანაკლები 900	15
ძაფის მეტრული ნომერი მ/გ-ობით	არანაკლები 3300—3500	1
ძაფის საერთო უთანაბრობის ვარიაციის კოეფიციენტი %-ობით	არაუმეტესი 17—21	10
საშუალო ყალიბის პარკის გამოსავალი %-ობით	არანაკლები 50,0	10
პარკის ამოხვევითი უნარიანობა %-ობით	არანაკლები 70	10
ბამი ძაფის გამოსავალი %-ობით	არანაკლები 34	20
ბამი ძაფის უთანაბრობა %-ობით	არაუმეტესი 6,6	10

ახალ პერსპექტიულ ჯიშებსა და ჰიბრიდულ კომბინაციებში მხოლოდ თბილისური და მისი პირდაპირი ჰიბრიდის პარკი შეიცავს 48,0% აბრეშუმის მასას და ამ მაჩვენებლით 10—10 ქულას იმსახურებენ, დანარჩენი ჯიშები და ჰიბრიდები კი შეფასების გარეშე რჩებიან.

რაც შეეხება ძირითად მაჩვენებელს, ხამი-ძაფის გამოსავლიანობას, საქართველოს ძაფსახვევი ფაბრიკებისათვის დაშვებულ ნორმატივთან 28,0⁰/ო-თან (ხვედრითი ხარჯი 3,57) შედარებით ყველა ჯიშსა და ჰიბრიდში მაღალი მაჩვენებელია მიღებული და 2,88—4,72 აბსოლუტური პროცენტით სჭარბობს




თქვენს ანგეზღვრულს ეძღვნება ეს სტატისტიკის მაჩვენებლები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მიერ შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. მადლობა გთხოვთ თქვენს დახმარებას.

საქართველოს
სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მიერ შეგროვებული მონაცემების საფუძველზე

ანგეზღვრული ქონის ან საქონლის სახეობა	საქონლის მნიშვნელობა		საქონლის მნიშვნელობა		საქონლის მნიშვნელობა		საქონლის მნიშვნელობა		საქონლის მნიშვნელობა		საქონლის მნიშვნელობა		საქონლის მნიშვნელობა		საქონლის მნიშვნელობა		საქონლის მნიშვნელობა	
	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი
საქონელი	10	5	46,09	—	186	15	430	10	24,96	63,36	10	67,30	—	31,16	8,6	—	—	40
საქონელი	30	5	45,19	—	690	—	3370	10	25,70	43,97	10	67,64	—	31,35	8,0	—	—	25
საქონელი	50	5	46,21	—	854	—	3781	10	21,00	63,39	10	66,75	—	30,58	8,2	—	—	25
საქონელი	10	5	46,75	—	923	15	3300	10	26,51	64,09	10	67,90	—	32,21	8,8	—	—	40
საქონელი	30	5	48,00	—	1044	15	3336	10	7,41	68,06	10	65,94	—	31,65	8,1	—	—	30
საქონელი	20	5	46,55	—	744	15	3753	10	21,51	38,27	10	66,30	—	31,37	8,5	—	—	40
საქონელი	30	5	48,00	—	1076	15	3667	10	26,28	64,72	10	68,57	—	32,73	8,0	—	—	50
საქონელი	30	5	47,25	—	995	15	3450	10	23,72	60,53	10	67,68	—	32,49	8,6	—	—	40



ფაბრიკებისათვის დაშვებულ ნორმატივს, მაგრამ არც ერთ წმინდაში არ არის მიღებული დროებით რეკომენდებული ნორმა 34,0⁰/₀, რაც კარგად შეესაბამება საერთო ჯამს როგორც წმინდა ჯიშებისათვის, ისე ჰიბრიდებს. 20 ქულა.

ასევეა პარკის ამოხვევითი უნარი, რომელიც მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელია და განაპირობებს ხამი-ძაფის გამოსავლიანობას. არც წმინდა ჯიშების და არც მათი ჰიბრიდების პარკის შემთხვევაში 70,0⁰/₀-ის ოდენობას, ანუ დადგენილ ნორმას არ აღწევს (65,94-დან 68,57⁰/₀-მდე), რის გამო ამ მაჩვენებლით 10 ქულა არც წმინდა ჯიშების და არც მათი ჰიბრიდების პარკს არ მიეკუთვნება.

როგორც სხვა მაჩვენებლით, ისევე ძაფის საწარმოო სიგრძითაც, წმინდა ჯიშები და მათი ჰიბრიდები მკვეთრად არ განსხვავდებიან. დროებით დაშვებულ ნორმას (900 მ) ვერ აკმაყოფილებს ჯიში იმერულის და ჰიბრიდული კომბინაციის კახური X იმერულის პარკი (890 და 884 მ), რის გამო ქულების საერთო ჯამს ამ მაჩვენებლით აკლდება 15 ქულა. როგორც ყველა დანარჩენი ტექნოლოგიური მაჩვენებლებით, ისევე ძაფის სიგრძითაც უკეთესია თბილისურისა და მისი პირდაპირი ჰიბრიდის პარკი — 1016 და 1088 მ. ძაფის სიგრძის კარგი მაჩვენებელი აქვს აგრეთვე ივერია X თბილისურის პარკს—998 მ. მეტრულ ნომერსა და ძაფის სიგრძეს შორის გარკვეული კავშირი არსებობს, რაც უფრო მაღალია ნომერი, მით გრძელია ძაფი. ჩვენს ცდებშიც ძაფის მეტრული ნომრის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება სწორედ თბილისურისა და ივერიას პარკი — 3650—3700-მდე. ხოლო დარაიონებულ სამრეწველო ჯიშებსა და ჰიბრიდებში ძაფის ნომერი შედარებით დაბალია 3281-დან 3430-მდე. თუმცა ამ მაჩვენებლით ყველა ჯიში და მათი ჰიბრიდები ათ-ათ ქულას იმახტურებენ.

ცალკეული მაჩვენებლების ქულების საერთო ჯამი — 50, რომელიც დროებით დაშვებული ნორმატივებით არის გათვალისწინებული, მხოლოდ თბილისურისა და მისი პირდაპირი ჰიბრიდის შემთხვევაშია მიღებული და გამოცდილ ჯიშებსა და ჰიბრიდებს შორის სადღეისოდ ყველაზე პერსპექტიულად ითვლება.

როგორც განხილული მასალებიდან ირკვევა, აბრეშუმხვევიას ჰიბრიდული კომბინაციებისა და მათი გამოსავალი წმინდა ჯიშების წარმოების პირობებში გამოკვებისა და მიღებული მასალების შედარების შედეგად, არ გამოვლინდა ჰიბრიდების უპირატესობა წმინდა ჯიშებთან არც პარკის საშუალო მოსავლით და არც მორფოლოგიურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლებით. ზოგიერთ შემთხვევაში პირიქით, წმინდა ჯიშების პარკის მაჩვენებლები უკეთესია შესაბამისი ჰიბრიდული კომბინაციის მაჩვენებლებზე ან კიდევ მიღებული სხვაობა ცდომილების დასაშვებ ფარგლებში თავსდება.

აბრეშუმხვევიას პარკია პარტიებში მასის არაერთგვაროვნება—სიდიდით, ფორმით და სხვა მაჩვენებლით. ვფიქრობთ, მხოლოდ ჰიბრიდიზაციის გავლენით არ შეიძლება იყოს გამოწვეული, რადგან თვით წმინდა ჯიშის პარკის პარტიებშიც აღინიშნება ანალოგიური მოვლენები.



პარკში აბრეშუმის მასის შემცველობა, ტექნოლოგიური მანქანების
 თაღისებურება, ძაფის ხარისხობრივი მაჩვენებლები—მეტრული ნომერი, ძა
 ფის უთანაბრობა და სხვა, გაპირობებულია ორი ფაქტორით: აბრეშუმში
 ჯიშით და გამოყვების აგროტექნიკით. პარკის პარტიაში ხარისხობრივი
 ნებლების არაერთგვაროვნებას განაპირობებს აგრეთვე ჰიბრიდული გრენის
 დამზადების ტექნოლოგია, რომლის დროს გარდევალა წმინდა ჯიშის გრენის
 მინარევი ჰიბრიდულ გრენაში. გარდა აღნიშნულისა, გრენის იწყუბაცია, ჰიის
 კვების სხვადასხვა პირობები, პარკის ასახვევად გამოყენებული ბუნებრივი
 ცახები იწვევენ პარკის არაერთგვაროვნებას სიდიდით, ფორმითა და სხვა მაჩ-
 ვენებლით. ასე, რომ ინდივიდუალურ პირობებში გამოყვებილი ჰიების პარ-
 კის პარტიები ხარისხობრივი მაჩვენებლით არ შეიძლება ერთნაირი იყოს.

გამომდინარე ზემოხსენებულიდან პარკის ნედლეულის ხარისხის გაუმ-
 ჯობესებისათვის, გარდა სასელექციო სამუშაოების სწორად წარმოებისა და
 გრენის დამზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა, აუცილებელია აგრეთვე
 აგროტექნიკური კომპლექსის გატარება და ბუნებრივი ცახების დროულად
 შეცვლა ხელოვნურით.

დასკვნა

აბრეშუმხვევიას წმინდა ჯიშებისა და ჰიბრიდების წარმოების პირობებში
 გამოყვების შედეგებით ჰიბრიდული კომბინაციები არ ავლენენ მკვეთრ უპი-
 რატესობას მათ გამოსავალ წმინდა ჯიშებთან შედარებით. რაც დასტურდება
 შემდეგით:

1. საცდელად აღებული აბრეშუმხვევიას ჰიბრიდებისა და მათი გამოსავალ-
 ლი წმინდა ჯიშებისა გრენიდან მურის გამოსავალი მეტია დაშვებულ ნორმა-
 ტივებთან შედარებით. მცირედი სხვაობით, მაგრამ მაინც უპირატესობით,
 წმინდა ჯიშები ხასიათდებიან ასე, მაგალითად: 10 კოლოფი გრენიდან მიღე-
 ბული მურის ოდენობა ჯიში კახურისათვის 226 გ-ია, ნაცვლად 216,3 გ-ისა
 ჰიბრიდულ კომბინაციაში — კახური X იმერული. ივერიას შემთხვევაში —
 213,4 გ, ნაცვლად 196 გ-ისა მის პირდაპირ ჰიბრიდულ კომბინაციაში ივერია
 X თბილისური.

2. პარკის საშუალო წონის მიხედვით ჰიბრიდები და მათი გამოსავალი
 წმინდა ჯიშები დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლებით ხასიათდებიან. მაგა-
 ლითად, კახური პარკის საშუალო წონა 1,68 გ შეადგენს, მის პირდაპირ კომ-
 ბინაციაში 1,62 გ-ს. ამ მხრივ უპირატესობით ჯიში ივერია და მისი ჰიბრიდუ-
 ლი კომბინაცია ხასიათდება, სადაც პარკის წონა 1,78 გ-ით განისაზღვრება.

3. ერთი გ მურიდან პარკისა საშუალო მოსავალი ვარიანტების მიხედვით
 1,8-დან 2,3-კგ-ის ფარგლებში მერყეობს და ჰიბრიდული კომბინაციებისა და
 გამოსავალ წმინდა ჯიშებს შორის მნიშვნელოვან სხვაობას არ ვლდებულობთ.

4. როგორც ნედლი პარკის, ისევე ხმელი პარკის აბრეშუმისანობა დარაი-
 ონებულ სამრეწველო ჰიბრიდებში კახური X იმერულში, შებრუნებულ კომ-
 ბინაციაში და გამოსავალ წმინდა ჯიშებში მნიშვნელოვნად დაბალია. ნედლ
 პარკში 16,9—17⁹/₁₀₀-ს შეადგენს და ოდენტურია რიგი წლების მანძილზე მიღე-

ბული მაჩვენებლებისა. ამ მხრივ უპირატესობა ახალ ჰიბრიდებს და მათ ვაძლავს
სავალ წმინდა ჯიშებს ეკუთვნის. რომელთა აბრეშუმთანობა 19-19,1% მდ
აღწევს.

5. საშუალო ყალიბის პარკის ოდენობით, ჰიბრიდებს და მათ ვაძლავს
შებს დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ, ასე, მაგალითად, ჯიშ
ხურის შემთხვევაში 63,39%. პირდაპირ ჰიბრიდში (კახური X იმერული)
63,36% ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდებიან დანარჩენი ჯიშები და
მათი ჰიბრიდები.

6. პარკის ძაფის სიმსხოს ვარიაციის კოეფიციენტი, როგორც წმინდა
ჯიშებს ასევე ჰიბრიდებს დაშვებულ ნორმატივზე 21,0%/მ-ზე მაღალი აქვთ და
ამის გამო საჭირო რაოდენობის ჭულებს (10) ვერ ავროვებენ. ამ მხრივ მხო-
ლოდ გამონაკლისია კახური X იმერულზე, სადაც ძაფის სიმსხოს ვარიაციის
კოეფიციენტი 21,0%/მ შეადგენს.

7. აბრეშუმხვევიას ჯიშებისა და ჰიბრიდების პარკის ნედლეულის ხარის-
ხის ე. წ. ბალური სისტემით შეფასებამ გამოაქვინა, რომ ნედლეულის ძირი-
თადი მორფოლოგიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლებით დროებით დაშვე-
ბულ ნორმატივს 50 ჭულას, მხოლოდ ჯიშში თბილისური და მისი პირდაპირი
კომბინაციის (თბილისური X ივერიას) პარკი იმსახურებს და ჩვენ მიერ გა-
მოცდილ ჯიშებსა და ჰიბრიდებში ყველაზე მეტი უპირატესობით ხასიათდება.

О. В. ОЗНАШВИЛИ

А. С. МАРДЖАНИШВИЛИ

МОРФОЛОГИЧЕСКИЕ И ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ ПОКАЗАТЕЛИ КОКОНОВ ГИБРИДОВ И ИСХОДНЫХ ПОРОД ТУТОВОГО ШЕЛКОПРЯДА. РАЗВОДИМЫХ В ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

Преимущество гибридов шелкопряда перед исходными породами при соответствующем их подборе для скрещивания неоспоримо, особенно по жизнеспособности гусениц и весу коконов, что приводит к повышению их урожайности.

Однако за последние годы основные гибриды, разводимые в нашей республике, по урожаю и по морфологическим и технологическим показателям коконов уступают исходным породам. По мнению некоторых специалистов причиной этого явления может служить использование для скрещивания генетически однородного исходного материала (в данном случае белококонных пород), что в значительной мере ограничивает как разнообразие получаемых гибридов, так и проявление гетерозиса.

Недостаточная консолидация признаков в породах, выведенных за сравнительно короткий срок (4-5 лет), также обуславливает расщепление этих признаков при гибридизации.

Вопрос изучения морфологических и технологических показателей промышленных районированных, а также вновь внедряемых гибридов и исходных пород был поставлен Управлением шелководства МСХ Грузии.



С этой целью в 1973—1974 годах в колхозе селения Чандери Гурджаанского района выкармливались гусеницы исходных Иммерули, их гибриды прямого и обратного скрещивания — Тбилисури×Иверия, Иверия×Тбилисури и исходных их пород Тбилисури, Иверия, по 10 коробок каждый, т. е. по 80 коробок ежегодно.

Для объективной оценки характеристики каждой породы или гибрида применяли особую балльную систему, предложенную Т. А. Эфендиевым и Д. А. Джаббаровым [7].

В результате двухлетней работы в промышленных условиях не выявлено преимущество гибридов перед исходными породами как по урожаю коконов, так и по их качественным показателям. В некоторых случаях чистые породы даже превосходят соответствующие гибриды.

В целом испытываемые гибриды и исходные породы по качественным показателям коконов далеко не удовлетворяют требований промышленности и только порода Тбилисури и соответствующий гибрид Тбилисури×Иверия по основным показателям набирают по 50 баллов и удовлетворяют временно допущенную норму, благодаря чему на данном этапе являются наиболее перспективными среди испытываемых пород и гибридов.

Причиной неоднородности морфологических и технологических показателей коконов промышленных выкормок и качественных признаков получаемой из них нити, помимо недостатков в работе по селекции с тутовым шелкопрядом, имеет значение и агротехника выкормки и коконовзавивки.

Выкормка гусениц самцов и самок в виде смеси с разными показателями биологических и технологических признаков, свойственных гусеницам разного пола, уже само по себе может создать неоднородность даже внутри одной партии. Кроме того, технология гребкопроизводства (с неизбежной примесью чистопородной гребки в гибридной), экологические условия во время инкубации, червокормления и наряду с этим применение травянистых и древесных коконников способствуют получению неоднородных по морфологическим и технологическим признакам коконов.

С целью получения коконного сырья с качественными показателями удовлетворяющими требованиям промышленности, наряду с улучшением селекционной работы с тутовым шелкопрядом, дальнейшее внимание должно быть уделено применению комплекса агротехники червокормления и коконовзавивки.



1. Е. Ф. Бондаренко. К вопросу о гетерозисе в шелководстве. Жри. Шелк. № 3, 1968.
 2. Г. Н. Лигвин. Улучшить качество натурального шелкового сырья. Жри. Шелк. № 1, 1962.
 3. Справочник по шелкосырью и кокономотанию. Изд. Легкая индустрия, М., 1971.
 4. И. Г. Плугару. Селекция пород и гибридов тутового шелкопряда в условиях Молдавии. Автореферат диссертации, Киев, 1964.
 5. Э. Б. Рубинов и Ю. Я. Тонб. О качестве промышленных коконов. Жри. Шелк. № 3, 1968.
 6. Н. А. Таджиева. Влияние гибридизации на изменение калибра и видажа коконов. Жри. Шелк. № 2, 1971.
 7. Т. А. Эфендиев и Д. А. Джаббаров. Требования промышленности к коконному сырью и методика оценки качества коконов. Жри. Шелк. № 4, 1972.
 8. Шелководство в Японии, М., 1967.
-



ბ. ნიკოლეიშვილი, ლ. აფხაზავა,
 ზ. აფხინიძე, ც. ნიკოლეიშვილი

შრომის ნაყოფიერების დონე და მისი ამაღლების გზები მებაბრეშუმეობაში

მებაბრეშუმეობაში შრომის ნაყოფიერების ზუსტი განსაზღვრა თვით ამ დარგის თავისებურებებიდან გამომდინარე მეტად რთულია. ამასთან, აბრეშუმისკიის ინდივიდუალურ ბინებში გამოკვებას, ნამუშევარი დროის სწორად აღრიცხვის თვალსაზრისით, ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს შრომის ნაყოფიერების ამაღლების უზრუნველსაყოფად ღონისძიებათა მწყობრი სისტემის დასახვას. მაგრამ მიუხედავად შრომითი დანახარჯების აღრიცხვის საქმეში არსებული სიძნელეებისა, შრომის ნაყოფიერების განსაზღვრა I კაცდღეზე წარმოებულ პროდუქციის მიხედვით მაინც უფრო ზუსტია, ვიდრე სხვა მაჩვენებლები.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მებაბრეშუმეთა შრომის ნაყოფიერების ამსახველი მასალები სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით მოტანილია პირველ ცხრილში.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, მებაბრეშუმეთა შრომის ნაყოფიერება ყველა ზონაში დაბალია და ზოგან ხასიათდება შემცირების ტენდენციით.

შრომის ნაყოფიერების შედარებით მაღალი და მყარი მაჩვენებლები აქვთ I ზონისა და X^ბ და X^ა ქვეზონის რაიონებს, ხოლო უფრო მერყევი და დაბალი III და V ზონის კოლმეურნეობებს.

რესპუბლიკის საშუალო მონაცემებით, მებაბრეშუმეთა შრომის პირდაპირი დანახარჯების თითოეულ კაცდღეზე წარმოებულ საერთო პროდუქციის ღირებულება შეადგენდა: 1960 წელს—2,85 მან., 1965 წ.—2,75 მან., საშუალოდ 1966—1970 წლებში—3 მან., და 1974 წ.—4,36 მან., ხოლო წარმოებულ პროდუქტის რაოდენობა შესაბამისად 0,92, 0,91, 0,90 და 0,84 კგ რაც მეტისმეტად დაბალია.

გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვთ რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს. მაგალითად, 1971 წ. ქუთაისის მებაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში გამსხვილებულ გამოკვებაზე დახარჯულ (პირდაპირი) თითოეულ კაცდღეზე აწარმოეს 8,65 მან. საერთო პროდუქცია, ხოლო 1972 წ.—10,60 მანეთის. დაახლოებით ასეთივე შედეგს მიაღწია მცხეთის რაიონის ქანდის სანერგე



შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები

ქვეყნული
სტატისტიკის
სამსახური

ბ ა რ ა თ კ ა ც ე ლ ე ზ ე

ზონები და ქვეზონები	1960 წ.		1965 წ.		საშუალოდ 1966-1970 წწ.	
	პარკი კვ	ფული მან	პარკი კვ	ფული მან	პარკი კვ	ფული მან
	I	0,83	2,95	0,75	2,64	0,75
II	0,49	1,65	0,42	1,25	0,61	2,22
III	0,71	2,16	0,95	2,47	0,59	2,26
V	0,58	1,70	0,47	1,39	0,57	1,78
VIII	0,80	2,56	0,72	2,31	0,73	2,63
ა ^ა	—	—	—	—	0,99	3,31
ა ^ბ	1,1	3,17	1,19	3,78	0,90	3,0
ა ^ვ	0,85	3,0	0,74	2,55	0,80	2,87
სულ საქართველოს სსრ-ში	0,92	2,85	0,91	2,73	0,90	3,0

ცხრილი შედგენილია კოლმეურნეობების წლიური ანგარიშების მიხედვით

მეურნეობამ (1974) და ვანის რაიონის სოფ. დიხაშხოს კოლმეურნეობამ (1975), რომელმაც საჯიშე აბრეშუმის ქიის გამსხვილებული გამოყვება ჩაატარა მეცხოველეობის ფერმის შენობაში.

მეაბრეშუმეთა შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედებს პარკის მოსავლიანობა და ხარისხობრივი შემადგენლობა, მექანიზაციის დონე, მეაბრეშუმეთა ოპტიმალური დატვირთვა, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფა, გამომუშავების პროგრესული ნორმების სწორად დადგენა, მტკიცე საყვები ბაზა და სხვა ფაქტორები, რომელთაგან ზოგიერთს ქვემოთ შევხებით.

საქართველოს სსრ სინამდვილეში მეაბრეშუმეთა შრომის ნაყოფიერება დიდად ცვალებადობს არა მარტო რაიონებს შორის, არამედ ერთსა და იმავე რაიონის მსგავს პირობებში მყოფ კოლმეურნეობებს შორისაც. ამის ძირითადი მიზეზია აბრეშუმის ქიის ინდივიდუალურ ბინებში გამოყვება, რომლის დროსაც შრომითი დანახარჯების ყოველდღიური აღრიცხვა მეტად ძნელია. ნათქვამი დასტურდება იმით, რომ 1974 წ. ზუგდიდის რაიონის სოფ. ოქტომბრის კოლმეურნეობამ 1 ც პარკის წარმოებაზე დახარჯა 169 კაცდღე, სოფ. ჩხორიის კოლმეურნეობამ—145, ხოლო სოფ. ჰკადუაშისა და სოფ. რუხის საქართველოს კოლმეურნეობებმა შესაბამისად—26 და 28 კაცდღე. ამავე წელს სამტრედიის რაიონის სოფ. საჯევახოს კოლმეურნეობაში 1 ც პარკის წარმოებაზე გაწეული შრომის პირდაპირი დანახარჯები 105 კაცდღეს უდრიდა, ხოლო დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში—15 კაცდღეს.

წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ სოფლების ოქტომბრის, ჩხორიის და საჯევახოს კოლმეურნეობებში, აბრეშუმის პარკის წარმოებაზე გაწეული შრომის პირდაპირი დანახარჯები ბელოვენურად არის გადიდებული, ხოლო სოფლების ჰკადუაშის, რუხის საქართველოს და ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში—შემცირებული.



ნამუშევარი დროის ხელოვნურად შემცირების მიზეზით შემდეგი ვერ ასრულებენ შრომის სავალდებულო მინიმუმს და კარგავენ თავიანი შევებულებით სარგებლობის უფლებას. ეს იმის შედეგია, რომ მუშაკები აბრეშუმები ჩაისა და ვაზის პლანტაციებში მუშაობის პარალელურად აბრეშუმის ჭიასაც უვლიან, მაგრამ, როგორც წესი, ერთი დღის მუშაობისათვის. მხოლოდ 1 კაცდღეს ურიცხავენ. ზოგიერთ კოლმეურნეობაში კი საწინააღმდეგო სურათიც გვხვდება. წყალტუბოს რაიონის სოფ. ოფურჩხეთის კოლმეურნეობის № პირველი ბრიგადის წევრმა მ. ჯანელიძემ 1974 წ. გამოკვება 8 გ აბრეშუმის ჭია და სახელმწიფოს ჩააბარა 24,6 კგ პარკი, რისთვისაც დაერიცხა 20 კაცდღე. მ. ჯანელიძე, იენისის თვეში, აბრეშუმის ჭიის მოვლის პარალელურად დიდი მონღომებით შრომობდა ჩაის პლანტაციაში და დაერიცხა 192 კაცსათვი, ანუ 24 კაცდღე. გამოდის, რომ კოლმეურნე მ. ჯანელიძე 1974 წ. იენისში საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობდა 44 დღეს, ეს მაშინ, როცა კალენდარულ დღეთა საერთო რაოდენობა ოცდაათს არ აღემატებოდა. საწინააღმდეგო სურათი იყო ამავე რაიონის სოფ. რიონის კოლმეურნეობაში, გურჯაანის რაიონის სოფ. ჭანდრის კოლმეურნეობაში და სხვ. ამ ნაკლოვანების აღმოფხვრა აბრეშუმის ჭიის ინდივიდუალურ ბინებში გამოკვების პირობებში არ მოხერხდება, მაგრამ გარკვეული რეგულირება შეიძლება ნამუშევარი დროის სწორი აღრიცხვა-განაწილებით, ამიტომ მეაბრეშუმეებს კუთვნილი კაცდღეები უნდა დაერიცხოთ არა მარტო იმ თვეში, როცა პარკი ჩააბარეს, არამედ ყველა თვეში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით. ვინაიდან აბრეშუმის ჭიის ინდივიდუალურ ბინებში გამოკვების შემთხვევაში არ მოხერხდება ნამუშევარი დროის ყოველდღიური აღრიცხვა, მეაბრეშუმეებს კაცდღეები უნდა დაერიცხოთ: მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისათვის მარტ-აპრილის თვეში საწარმო-საღიანასო გვევით გათვალისწინებული შრომის საერთო დანახარჯების დაახლოებით 15%, აბრეშუმის ჭიის მოვლისთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის მაის-ივნისის თვეში—60%, ხოლო პარკის ჩაბარებისა და შემდგომი სამუშაოებისათვის ივნის-ივლისის თვეში—25%, ე. ი. მეაბრეშუმეებს კაცდღეები ერიცხებოთ წინასწარ, პირობით, საგვემო მანქენებლებიდან გამომდინარე, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება ხდება ფაქტიურად ჩაბარებული ხარისხოვანი პარკის რაოდენობის მიხედვით.

ზოგიერთი კოლმეურნეობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს მეაბრეშუმეებზე კაცდღეების სწორად აღრიცხვას, რითაც ხელოვნურად ქმნის სიძნელეებს. მაგალითად, 1974 წელს იენის რაიონის კოლმეურნეობებში მეაბრეშუმეებს კაცდღეები დაურიცხეს არა ჩაბარებული პარკის რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით, არამედ გამოსაკვებად მიცემული მურის მიხედვით. ამან გამოიწვია მეაბრეშუმეთა დაინტერესების შემცირება და უარყოფითად იმოქმედა დარგის საერთო მდგომარეობაზე. ამიტომ აბრეშუმის ჭიის ინდივიდუალურ ბინებში გამოკვების შემთხვევაში მეაბრეშუმეებს კაცსათები (ან კაცდღეები) უნდა დაერიცხოთ მხოლოდ ჩაბარებული პარკის რაოდენობის და ხარისხის გათვალისწინებით.



**საქართველოს
კომუნისტური
პარტია**

პარტიის მოსახლეობის გადიდება და ხარისხობრივ გაუმჯობესება შრომის ნაყოფიერების ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვული იგი სრულყოფილად არ არის გამოყენებული.

საქართველოს სსრ-ში 1951—1965 წლებში 1 კოლოფი ჰიიდან პარტიის მოსახლეობა შეადგენდა 32,7 კვ-ს, 1970 წ.—34,2 კვ-ს, ხოლო 1973 წ.—36,6 კვ-მდე გაიზარდა, მაგრამ საშუალო-საკეშირო მაჩვენებლებს მაინც ჩამოაჩებოდა 28,5%-ით.

საქართველოს სსრ რესპუბლიკა ომამდელ პერიოდში 1 კოლოფი ჰიიდან პარტიის მოსახლეობით მოწინავეთა რიგებში იდგა, ხოლო მომდევნო წლებში ეს პოზიცია თანდათანობით დაეთმო. ასე, მაგალითად, 1928 წ. სსრ კავშირში დარეგებული ვრენის საერთო რაოდენობაში ჩვენი რესპუბლიკის ხვედრითი წონა იყო დაახლოებით 19,2%, ხოლო წარმოებული პარტიის რაოდენობაში—21,6%. 1940 წ. ამ მაჩვენებლებმა შეადგინა შესაბამისად 17,0 და 18 პროცენტი, 1960 წელს 17,0 და 14,0%, 1966 წელს—17,0 და 11,8%, ხოლო 1973 წელს—5,6 და 4,0 პროცენტი.

ამიტომ საქართველოს სინამდვილეში პარტიის მოსახლეობის გადიდებას და ხარისხობრივ გაუმჯობესებას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

აბრეშუმის პარტიის მოსახლეობის გადიდება ძირითადად ჰიის მოვლის პროგრესული მეთოდების წარმოებაში ფართოდ დანერგვის საფუძველზე უნდა წარიმართოს. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (1974 წ. 18 ივნისის № 362 დადგენილება), რომლის განსახორციელებლადაც დიდი მუშაობა ტარდება. სახელდობრ, მეთვე ზუთწლედში ფართოდ დანერგება აბრეშუმის ჰიის ცენტრალიზებული გამოკვება, აშენდება 1000 საჭიე ბინა გამსხვილებული გამოკვების მოსაწყობად და განხორციელდება სხვა ღონისძიებანი. ამით მომზადდება პირობები სპეციალიზაციის გაღრმავების, ინტენსიფიკაციის ღონის ამაღლების და დარჯის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების განუზრეღ გადიდებას.

თითოეული კოლოფი ჰიიდან პარტიის მოსახლეობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცალკეული მეაბრეშუმეობის ოპტიმალურ დატვირთვას. საქმე იმაშია, რომ მეაბრეშუმეებს ხშირად საყვები ბაზის, საჭიე ბინის და სხვა პირობების გაუთვალისწინებლად უწყესებენ ჰიის გამოკვების გადიდებულ ვეგმებს. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი მეაბრეშუმე უარს აცხადებს საინკუბაციო კამერიდან მურის მიღებაზე ან ძალდატანებით მიცემის შემდეგ ხელოვნურად ანადგურებს მას. მაგალითად, აბაშის რაიონში 1974 წ. გამოსაკვებად მიეცა აბრეშუმის ჰია 1452 მეაბრეშუმეს და 1975 წელს—1576 მეაბრეშუმეს, ხოლო პარკი ჩააბარა შესაბამისად 962 და 1036 მეაბრეშუმემ, ანუ 65,5 და 65,7%-მა. სწორედ ამის შედეგია, რომ ხსენებულ რაიონში 1 კოლოფი ჰიიდან პარტიის საშუალო მოსახლეობა ძალზე მცირე და შრომის ნაყოფიერებაც უკიდურესად დაბალია.



მრავალწლიური საშუალო მონაცემებით დადასტურებულია, რომ ქართული
 ობაში გასავრცელებელი ჭიის კოლოფების რაოდენობის ვეგმია და მათთან
 ბელ გადიდებას თან ახლავს პარკის მოსავლიანობის შემცირება. ამიტომ
 ვი გაუარესება. ამიტომ აუცილებელია ჭიის სარეალიზაციო გეგმების გასსახ-
 ლრის დროს გაკეთვალისწინოთ მეაბრეშუმეთა საკვებ ბაზით, საიუე ბინით და
 საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა.

საკვებ ბაზის განმტკიცება და ფოთლის მომჭირნეობით ხარ-
 გვა მეაბრეშუმეთა შრომის ნაყოფიერების გადიდებას მნიშვნელოვანი რეზერ-
 ვია. ამჟამად ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა განიცდის ფოთლის
 მწვავე ნაკლებობას და საჭიოდ დამორებული ადგილებიდან ეზიდებიან მას.
 ფოთლის შორ მანძილზე გადაზიდვა იწვევს მისი კვებითი ღირებულების შემცი-
 რებას, დანახარჯების გადიდებას და პარკის თვითღირებულების ზრდას. მიუხედა-
 ვად გატარებული ღონისძიებისა ფოთლის მწვავე ნაკლებობა იგრძნობა არა მა-
 რტო თუთის დაავადება ხეჭუჭუა წერილფოთლიანობის გავრცელების ზონაში,
 არამედ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ (მცხეთა, გორი, საგარეჯო და
 სხვ.) რაიონშიც. მაგრამ საკუთარი საკვები ბაზის განმტკიცებაზე ნაკლებად ზრუ-
 ნავენ მეაბრეშუმეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პარკის თვით-
 ღირებულების შემცირების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა ყველა
 კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, ბრიგადას და რგოლს ჰქონდეს საკუთარ
 ი საკვები ბაზა.

მექანიზაციის დონის ამაღლების გარეშე არ მოხერხდება
 შრომის ნაყოფიერების ზრდის გათვალისწინებული ტემპების დაძლევა. ამიტომ
 ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ „გვაფართოვოთ საწარმოო პრო-
 ცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია“ [1].

მეაბრეშუმეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის პირველხა-
 რისხოვანი მნიშვნელობა აქვს JIBIII-12 აგრეგატს, რომელიც ავტომატურად
 ასრულებს ყველა სახის სამუშაოს. ამჟამად დიდი მუშაობა ტარდება მისი
 სრულყოფის მიმართულებით. მაგრამ, ჩვენი შეხედულებით, მეაბრეშუმეობაში
 კომპლექსური მექანიზაციის და ავტომატიზაციის საშუალებათა სრულყოფი-
 ლად გამოყენება თვით ამ დარგის თავისებურებებიდან გამომდინარე საკმაოდ
 რთულია და მასობრივად ჯერ კიდევ დიდხანს არ დაინერგება წარმოე-
 ბაში. ამიტომ მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს
 ე. წ. „მცირე მექანიზაციის“ საშუალებათა სრულყოფას და წარმოებაში დანერ-
 გვას. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ფოთოლსაჭრელ და ყლორტსაცლელი მარ-
 ტივი ტიპის მანქანები.

ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობით დადასტურდა, რომ სკიდანოვას ტიპის
 ფოთოლსაჭრელი აპარატის საათობრივი მწარმოებლობა (24—25 კვ) 6—7-ჯერ
 აღემატება ხელით შრომის შესადარ მაჩვენებელს, ხოლო HC—9 ყლორტსაც-
 ლელი მანქანისა (90—100 კვ) —4—5-ჯერ. მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება

აგრეთვე შჩი—1 მარკის ფოთლის მოსაელის ამლები აგრეთვე
CCK—180 პარკსახევენი მანქანები და სხვ.



დიდ ვეგეტს იძლევა ხელოვნური ცახების გამოყენება, რამაც მისი უღალ მისაღები და ეკონომიურად გამართლებული ღონისძიებები

შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, მეცნიერულად და-
საბუთებული გამომუშავების პროგრესული ნორმების დადგენა, მათი თანრიგ-
ზე სწორად მიკუთვნება და შრომის ანაზღაურების მოწესრიგება, შრომის ნა-
ყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მეაბრეშუმეობაში მოქმედი გამომუშავების ნორმები დიდი ხანია არ ვად-
სინჯულა და სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ზოგიერთი სახის სა-
მუშაოზე ნორმები მეტისმეტად დაბალია, ხოლო ზოგიერთზე—ვადიდებული.
ამასთან ბევრი სახის სამუშაოზე საერთოდ არ არის დადგენილი გამომუშავების
ნორმა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საქმარისია აღინიშნოს, რომ დღეისათვის
საერთოდ არ არის დადგენილი გამომუშავების ნორმა ფორმალინის აორთქლე-
ბით საჭიე ბინის შეწამვლაზე, ფოთოლსაჭრელი და ყლორტსაცლელი მანქანე-
ბით საყვების დამზადებაზე და სხვ., რაც სირთულეებს ქმნის მუშაობაში.

განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებებია ზოგიერთი სახის სამუშაოს თანრი-
გზე მიკუთვნების საქმეში. მაგალითად, ფორმალინით საჭიე ბინების და საინ-
კუბაციო კამერების დეზინფექცია მეტად მძიმე და ადამიანის ჯანმრთელობისა-
თვის მავნეა, ამიტომ იგი უნდა მიეკუთვნოს არა მეორე, არამედ მეექვსე თან-
რიგს. თუთის ვარჯის გაფორნება უფრო კვალიფიციური სამუშაოა, ვიდრე
ბუნებრივი საცახე მასალის დამზადება, მაგრამ ორივე მეორე თანრიგზეა მი-
კუთვნებული.

ჩვენი შეხედულებით თუთის ვარჯის გაფორნება უნდა მიეკუთვნოს მეექვ-
სე თანრიგს, ხოლო ბუნებრივი ცახის დამზადება პირველს.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ხელს უშლის მეაბრეშუმეთა შრომის ანაზღა-
ურების მოწესრიგებას და მატერიალური დაინტერესების პრინციპის სრულ-
ყოფილად გატარებას. ამიტომ მეცნიერულ საფუძველზე გამომუშავების პრო-
გრესული ნორმების დადგენას და მის მიკუთვნებას შესაბამის თანრიგებზე მეტი
ყურადღებით უნდა მოეციდოს შესაბამისი ორგანიზაციები.

დასკვნა

1. საქართველოში მეაბრეშუმეთა შრომის ნაყოფიერება მეტისმეტად
დაბალია და ზოგიერთ რაიონში შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

შრომის ნაყოფიერების შედარებით უკეთესი მაჩვენებლები აქვს სოფლის
მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის I ზონის და X³ და X⁴ ქვეზონის
რაიონება, ხოლო უფრო ცუდი — II, III და V ზონის კოლმეურნეობებს.

2. მეაბრეშუმეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა აქვს სპეციალიზაციის გაღრმავებას, კონცენტრაციას,



ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებას, დარგის სამრეწველო საფუძველზე გად-
ყვანას, ჰიის კვების პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვას და სხვა
ნიხილებათა გახორციელებას.

3. მეაბრეშუმეობის რაიონებში აბრეშუმის ჰიის ინდივიდუალურ ბინებ-
ში გამოკვების შემთხვევაში ცალკეულ კოლმეურნეობებაა და საბჭოთა მეურ-
ნეობებს შორის, შრომის ნაყოფიერების დაუსაბუთებელი რყევადობის სალი-
კვიდაციოდ აუცილებელია შრომითი დანახარჯების აღრიცხვის მოწესრიგება.
მეაბრეშუმეებს კაცდღეები უნდა დაერიცხოთ არა მარტო იმ თვეში, როდესაც
პარკი ჩააბარეს, არამედ სხვა თვეებშიც ფაქტიურად შესრულებული სამუშაო-
ების გათვალისწინებით.

4. მეაბრეშუმეობაში მოქმედი გამომუშაების ნორმები მოქველებულია.
ამიტომ საჭიროა მათი გადასინჯვა და შეცვლა მეცნიერულად დასაბუთებული
პროგრესული ნორმებით. უნდა შემოწმდეს აგრეთვე ზოგიერთი სახის სამუშაო-
ს თანრიგზე მიკუთვნების სისწორე მასში სათანადო ცვლილების შეტანის
მიზნით.

Г. В. НИКОЛЕЙШВИЛИ, Л. М. АБХАЗАВА
З. КУХИАНИДЗЕ, Ц. М. НИКОЛЕЙШВИЛИ

**УРОВЕНЬ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ ТРУДА В ШЕЛКОВОДСТВЕ И ПУТИ
ЕГО ПОВЫШЕНИЯ**

Резюме

На индивидуальных выкормках тутового шелкопряда чрезмерно
трудно точно учитывать затраченное шелководами время, но несмотря
на это все же более точно можно определить, сравнительно с другими
показателями, по полученной продукции на 1 человекодень производи-
тельность труда.

В настоящее время в колхозах Грузинской ССР во всех зонах спе-
циализации сельского хозяйства производительность труда низкая и ха-
рактеризуется тенденцией к дальнейшему снижению.

В районах I зоны подзоны X⁶ и X⁶ показатели по производи-
тельности труда сравнительно высокие и стабильные, а в колхозах III и V
зоны слишком сниженные, что обусловлено низким уровнем concentra-
ции и низкой урожайностью, а также необеспеченностью кормовой ба-
зой.

Внедрение в производство прогрессивных форм выкормки тутового
шелкопряда, усовершенствование организации труда, повышение уро-
жайности коконов и уровня интенсификации, углубление специализации,
перевод шелководства на промышленную основу и др. мероприятия позво-
ляют повысить производительность труда в шелководстве.

При проведении выкормок тутового шелкопряда в домах колхозни-
ков шелководам следует начислить человеко-дни не только за период
червокормления, но и в другие месяцы, т. е. по фактически выполнен-
ной работе.

Установление научно-обоснованных норм выработки при условии повышения производительности труда, следует действующие в шелководстве нормы выработки давно были и характеризуются серьезными недостатками. Особенно много недостатков в деле отнесения некоторых видов работ к тому или иному разряду. Поэтому необходимо установить прогрессивные нормы выработки и внести изменения в деле присвоения разряда работы.

ლიტერატურა — Литература

1. სკვპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი XXV ყრილობისათვის. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976—80 წწ. გაზ. კომუნისტი, № 291. 14 დეკემბერი 1975.
2. მ. კახეთელიძე. საქართველოს სსრ მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები. ნაწ. III; თბ. 1973.
3. გ. ნიკოლეიშვილი. საქართველოს მეაბრეშუმეობა, თბ. 1968.
4. გ. ნიკოლეიშვილი. მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის მერვე ზონაში. თბ. 1972.
5. Хафизов. Шелководство Средней Азии, Ташкент, 1969.
6. შეჯამების რაიონების სათაო პარკსაშრობების მასალები და კოლმეურნეობის წლიური ანგარიშები.



ა. დ. შაჩაკიძე

კ ვიწროს მექანიზირებული პოსადკი სკოლა საჟენცეფ შელკოვიცი

Одной из задач шелководства Грузинской ССР является механизация трудоемких процессов в области туководства.

Посадка сеянцев шелковицы до последнего времени в нашей республике производилась вручную и требовала больших затрат труда. По данным Дигомского учебно-опытного хозяйства Груз. СХИ для посадки 1 га школы саженцев по схеме 0,9×0,25 м требуется 35 человеко-дней.

Сотрудниками отдела механизации учебно-исследовательского факультета шелководства был исследован процесс посадки сеянцев механизированным путем на VI агроучастке Дигомского учхоза на площади 0,8 га. Для этой цели была применена одпорядная лесопосадочная машина СЛН-1 с некоторыми конструктивными переделками. Так, например, были добавлены сиденья для рабочих, которые сидели спиной по направлению движения и вручную подавали саженцы в посадочную щель, были заново смонтированы маркеры (левый и правый), переделана система навески на трактор, добавлены ящики для сеянцев, уточнен центр вращения прикатываемых катков и др.

Испытания показали, что максимальная производительность машины, качество работы и минимальные затраты труда при посадке сеянцев шелковицы в школе обеспечиваются правильной организацией работы и соответствующей регулировкой рабочих органов сажалки.

Перед началом работы необходимо установить норму посадки, длину рабочего хода сошника (для правильной разбивки поля и выбора места заправки), способ и скорость движения агрегата.

Количество растений, высаживаемых на 1 га, определяют по формуле:

$$K = \frac{10000}{B \cdot m} \text{ шт.},$$

где K — количество растений на 1 га, шт.;

B — ширина междурядий, м;

m — шаг посадки, м.

При механизированной посадке не должно быть пропусков, иначе она получится изреженной и выход саженцев снизится. По схеме $0,9 \times 0,25$ м без пропусков на 1 га будет:

$$K = \frac{10000}{0,9 \cdot 0,25} = 45333 \text{ шт. сеянцев.}$$

Процент пропусков рассчитывают по формуле:

$$\gamma = \frac{n_0}{n_0 + n_n} \cdot 100 \%,$$

где n_0 — количество пропусков, шт;

n_n — количество посаженных сеянцев, шт.

На опытном участке сажалка пропустила в среднем 7 мест на 150 посаженных растений. Тогда получим:

$$\gamma = \frac{7}{7 + 150} \cdot 100\% = 4,46\%.$$

т. е. будет посажено на 2022 сеянцев меньше, чем требуется. Пропуски в основном происходили из-за недостаточной квалификации рабочих, которые непосредственно подавали сеянцы в посадочную щель.

Длина рабочего хода сажалки от заправки до заправки определяется по выражению:

$$L = \frac{5 \cdot N_n \cdot m \cdot \varphi}{2},$$

где N_n — вместимость одного ящика сажалки, тыс. шт.;

φ — степень использования емкости ящика. Для практических расчетов принимают $\varphi = 0,95$.

При испытаниях в каждом ящике в среднем помещалось 300+350 шт. сеянцев, тогда длина рабочего хода:

$$L = \frac{5 \cdot 325 \cdot 0,25 \cdot 0,95}{2} = 192,8 \text{ м.}$$

По агротехническим правилам отклонение посадки не должно превышать ± 3 см. В наших опытах около 60% сеянцев не отклонились от установленного шага, около 25% отклонились больше чем на 3 см и 15% — больше чем на 5 см. Отклонение шага посадки вызвано главным образом малой шириной посадочной щели в коробчатом сошнике. В ходе опытов этот недостаток был устранен.

При испытаниях установлено, что 1 сажальщик затрачивает на подачу семян в посадочную щель в среднем 5 сек. Тогда для определения шага скорость движения сажалки будет:

$$V_c = \frac{m}{t_c} \text{ м/сек.}$$

где t_c — время подачи сажальщиком семян, сек;

$$V_c = \frac{0,25}{5} = 0,05 \text{ м/сек} = 0,17 \text{ км/час.}$$

$$V_c = 0,17 \text{ км/час}$$

Глубина заделки корневой шейки семян зависит от расположения их по отношению к посадочной щели и глубине хода сошника, а также от угла постановки и расположения по высоте загорточей. Во время испытания ось вращения прикапывающих катков была перемещена вперед на 15 см, что способствовало хорошей плотности посадки семян. Средняя плотность заделки корневой системы на глубине 20÷22 см составляет 3,8 кг в хорошей рыхлой почве, а в тяжелой комкообразной — 2,3 кг. Поэтому при тяжелой почве катки надо сблизить, при рыхлой — развести; соответственно следует развести или сблизить задние загортачи сажалки.

Во время посадки первый проход сажалки делают по вешкам, последующие обязательно по маркеру.

Определить длину вылета маркера, т. е. расстояния между его следом и центром сошника, можно по следующим формулам:

а) левый маркер

$$L_{\text{лев.}} = b + \frac{c}{2};$$

б) правый маркер

$$L_{\text{прав.}} = b - \frac{c}{2};$$

где $L_{\text{прав.}}$ и $L_{\text{лев.}}$ — соответственно длина вылета правого и левого маркера, м;

b — ширина междурядья, м; $b=0,9$ м;

c — расстояние между осями передних колес трактора или между внутренними кромками гусениц; Для трактора Т-54В $c=0,65$ м.

Тогда $L_{\text{лев.}}$ и $L_{\text{прав.}}$ должны быть равны соответственно 1,225 и 0,575 м.

Рабочее сопротивление посадочной машины определяется по формуле:



$$R_{\text{маш.}} = G_{\text{м}} (f + \rho) + K_0 \cdot a \cdot b, \text{ кг},$$

где $G_{\text{м}}$ — вес машины, кг;

f — коэффициент трения бороздораскр. о почву;
 $f = 0,15 \div 0,20$;

ρ — коэффициент сопротивления качения. Для культивируемых почв $\rho = 0,20 \div 0,25$;

K_0 — коэффициент удельного сопротивления, $\text{кг}/\text{см}^2$. Для суглинистых почв $K_0 = 0,35 \div 0,55$;

a — глубина посадочной борозды, см. $a = 27$ см;

b — ширина посадочной щели, см. $b = 8,0$ см.

Надо отметить, что при определении веса машины учитывается средний вес сажальщиков.

Тогда:

$$R_{\text{маш.}} = 470 (0,2 + 0,25) + 0,52 \cdot 27 \cdot 8 = 319,5 \text{ (кг)}.$$

Расчет производительности посадочного агрегата можно вычислить по формуле

$$W_{\text{см}} = 0,1 \cdot V_p \cdot v_p \cdot T \cdot \tau,$$

где $W_{\text{см}}$ — сменная производительность агрегата, $\text{га}/\text{см}$;

V_p — рабочая ширина захвата агрегата, м;

v_p — рабочая скорость агрегата, $\text{км}/\text{час}$;

T — продолжительность смены, час;

τ — коэффициент использования рабочей смены; $\tau = 0,94 \div 0,86$.

Количество высаживаемых саженцев за смену определяется выражением:

$$M_{\text{шт}} = \frac{1000 \cdot V_p \cdot T \cdot \tau \cdot n}{l} \text{ шт. в смену.}$$

где l — шаг посадки (расстояние между сеянцами в ряду), м;

n — количество посадочных машин в агрегате.

Во время опытной посадки сменная производительность и количество высаживаемых сеянцев за смену составляет соответственно $0,56 \text{ га}/\text{см}$ и $24512 \text{ шт.}/\text{см}$.

Таким образом, если учесть трудозатраты одного тракториста, двух сажальщиков и двух подсобных рабочих, то посадочный агрегат уменьшает трудозатраты на 1 га школу саженцев в 15 раз.

Для бесперебойной работы сажалки необходимо заблаговременно подготовить посадочный материал, который сортируется, подрезается и прикапывается. Агрегат должен обслуживаться одной бригадой, состоящей из тракториста, сажальщиков и подсобных рабочих.

Л и т е р а т у р а



ՀԵՐԱՅԵՍՏԱՆ

ՊԵՏՆԱԳՐԱԴԱՐԱՆ

1. Б. Г. Турбин и др. Сельскохозяйственные машины. Л., 1967.
2. А. Н. Карсико и др. Сельскохозяйственные машины. М., 1969.
3. М. В. Игнатова. Механизация лесохозяйственных и лесокультурных работ. Л., 1969.
4. Справочник конструктора сельскохозяйственных машин. I и II том, М., 1967.



ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. XXVIII, 1976

ბ. ზაღინიძე

თუთის ჯიშების გაშვალვა ხევაზე წარმოშობიანობისადაც და მათი პროდუქტიულობა

თუთის ხის ინფექციურმა დაავადებამ—ხეცუვა წვრილფოთლიანობამ, რომელიც ადრე მხოლოდ იაპონიაში იყო ცნობილი, დიდი ზიანი მიყენა დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში მებაღეურობის საკვებ ბაზას.

ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ღონისძიებას გამძლე ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყენება-გამოვლინება და წარმოებაში დანერგვა წარმოადგენს.

ადრე ჩატარებული კვლევებით, წარმოებაში დასაწერად გამოვლინებული და რეკომენდებული იქნა შედარებით გამძლე ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან ამ დაავადების მიმართ პრაქტიკული გამძლეობით [2, 3].

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია რეკომენდებული და ზოგიერთი სხვა ჯიშების 1970—1975 წწ. ქუთაისის პირობებში პროდუქტიულობის შესწავლის და დაავადებისადმი გამძლეობის შედეგები.

6 წლის დაკვირვებამ დაგვანახა, რომ გამოცდილი თუთის ჯიშები, მათი ექსპლოატაციაში შესვლამდე ნაკლები რაოდენობითა და ინტენსივობით ავადდებიან. ვიდრე ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ (ცხრ. 1).

ცხრილი 1

თუთის ჯიშები	დაავადების პროცენტი			დაავადების ინტენსივობის პროცენტი		
	1970	1971	საშუალო	1970	1971	საშუალო
1. თბილისური	8	6,9	3,5	0	3,9	2,0
2. ოშიშა	0	9,3	4,6	0	4,6	2,3
3. იაპონური უცნობი	0	7,3	3,6	0	2,4	1,2
4. ქუთათური	0	26,7	13,4	0	13,3	6,6
5. ივერია	0	2,3	1,6	0	0,8	0,4
6. მცხეთური	0	12,2	6,1	0	5,7	2,8
7. ვრტენიშ--4	0	7,0	3,5	0	3,5	1,8
8. პანთილა--2	0	4,5	2,2	0	1,5	0,8
საშუალო	0	9,5	4,8	0	4,5	2,2



წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საცდელი ნაკვეთის გაშენების პირველ წელს (აღნიშნული ნაკვეთი გაშენებულია ბ. ა. ქარქინაშვილი მიერ 1970 წელს) ხუჭუტა წვრილფოთლიანობით არ დაავადებულა (1970 წელს) გამოცდილი ჯიში, ხოლო 1971 წელს (ექსპლოატაციის დაწყების წინა წელს) მათი დაავადება მეტად სუსტი იყო და საშუალო ყველა ჯიშისათვის 9,5%-ს შეადგენს. გამოცდილი თუთის ჯიშებიდან მეტი დაავადებულობით (26,7%) და დაავადების მეტი ინტენსივობით (13,3%) გამოირჩევა ქუთათური.

ინტენსიური დაავადება განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა მცენარეთა ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ (ცხრ. 2). რაც მითითებულია ლიტერატურულ წყაროებშიც [4, 5, 6].

ცხრილი 2

თუთის ჯიშები	დაავადების პროცენტი					დაავადების ინტენსივობის პროცენტი				
	1972	1973	1974	1975	საშ.	1972	1973	1974	1975	საშ.
1. თბილისური	62,8	52,4	63,4	65,8	61,1	60,3	42,1	44,7	56,1	50,8
2. ოშიმა	38,1	47,5	55,0	70,7	52,8	30,9	40,0	48,3	59,4	44,6
3. იაპონური უცნობი	33,3	46,5	63,4	70,7	53,4	24,6	42,3	48,0	63,4	44,6
4. ქუთათური	70,6	46,5	41,4	58,6	54,7	24,7	43,7	28,8	44,8	48,0
5. ივერია	70,4	34,1	41,5	46,3	48,1	66,7	26,8	33,3	30,1	39,2
6. მუხეთური	65,6	61,0	63,4	65,4	63,5	58,1	47,7	55,3	59,4	54,2
7. გრუზნიიშ—4	53,5	61,9	45,2	30,9	47,8	36,4	37,3	31,7	19,0	31,1
8. კიბრიდი—2	45,4	32,4	61,0	51,2	52,5	41,6	45,2	50,4	41,4	44,6
საშუალო	53,7	50,5	54,3	57,2	53,9	47,9	40,2	42,6	46,7	44,4

ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ გამოცდილი თუთის ჯიშები მკვეთრად განსხვავდებიან ურთიერთისაგან როგორც დაავადებულობის, ისე დაავადების ინტენსივობის მაჩვენებლებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყველა ჯიშის დაავადების საშუალო მაჩვენებელი წლების მიხედვით დიდ ცვალებადობას არ განიცდის და 50,5—57,2%-ის ფარგლებში მერყეობს. ცალკეული ჯიშების მიხედვით დაავადებულობისა და დაავადების ინტენსივობის პროცენტი ექსპლოატაციის პირველ წელს (1972) შედარებით დაბალი იყო იაპონურ უცნობსა (33,3—24,6%) და ოშიმაზე (38,1—30,9%); მე-2 წელს (1973)—ივერიაზე (34,1—26,8%); მე-3 წელს (1974)—ქუთათურზე (41,4—28,8%), ივერიასა (41,5—33,3%) და გრუზნიიშ—4-ზე (45,2—31,7%); ხოლო მე-4 წელს (1975)—გრუზნიიშ—4-ზე (30,9—19,0%).

ამავე ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ თუთის ზოგიერთ ჯიშზე (ივერია, ქუთათური, გრუზნიიშ—4, თბილისური) ექსპლოატაციის შემდეგ ცალკეული წლების მიხედვით დაავადების გამოვლინებაში აღინიშნება პერიოდულობა, ე. ი. წინა წელს ძლიერ დაავადებული ჯიშები მომდევნო წელს უფრო სუსტად ავადდებიან. დაავადების პერიოდულობაზე ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდნენ ჭართველი მკვლევარები [3].

როგორც იმავე ცხრილიდან ჩანს. შედარებით გამძლე ჯიშებზე დასავლურ ტიპისა და დაავადების ინტენსივობის პროცენტი საკმაოდ მაკალოდაა ამიტომ მოსალოდნელი იყო მათზე ფოთლის მოსავლის დიდად შემცირება.

საქართველოს
საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის
ცხრილი 3

თუთის ჯიშები	ფოთლის მოსავლი წლების მიხედვით ც/ჰა-ზე					სხვაობა ქუთათურას მიმართ ც-ით				
	1972	1973	1974	1975	საშ.	1972	1973	1974	1975	საშ.
1 ქუთათური	5,7	6,3	9,2	6,2	5,5	—	—	—	—	—
2 თბილისური	11,5	10,4	17,9	21,4	15,3	5,8	7,1	8,2	15,2	9,0
3 ოშიმა	14,1	24,0	25,4	27,5	22,8	6,4	17,7	15,7	26,3	17,0
4 იაპონური უცნობი	17,2	25,4	23,8	27,5	23,4	11,5	14,1	14,1	26,1	17,7
5 ივერია	14,7	16,9	15,3	20,7	17,9	9,0	10,6	8,6	14,5	10,6
6 მცხეთური	21,7	18,2	21,2	25,2	21,6	16,0	11,7	11,5	11,0	14,0
7 გრუზნიიშ—4	13,0	21,1	21,2	19,3	21,4	7,5	14,8	11,6	24,1	4,4
8 ჰიბრიდი—2	12,5	15,0	12,5	14,1	13,8	7,8	4,7	3,1	7,9	6,8
უშვ. საშვ. სხვაობა						5,6	6,7	7,3	17,6	5,2

მე-3 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ თუთის უველა სელექტიურმა ჯიშმა წლების მანძილზე ფოთლის მეტი მოსავალი მოგვცა, ვიდრე ქუთათურმა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან უცნობი იაპონური ჯიში და ოშიმა, რომელთაც საშუალოდ ოთხი წლის განმავლობაში მოგვცეს 24,0 ც-ი ფოთოლი, რითაც 3,5-ჯერ გადააჭარბეს თუთის ჯიშის ქუთათურის ფოთლის მოსავლიანობას. ასევე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ჯიშები მცხეთური და გრუზნიიშ—4, რომელნიც ქუთათურთან შედარებით 3-ჯერ მეტ მოსავალს (21,0 ც/ჰა) იძლევიან. აღსანიშნავია, რომ მათი უპირატესობა ფოთლის მოსავლიანობის მხრივ დადასტურებულია სტატისტიკურად, რასაც გვიჩვენებენ ცხრილში წარმოდგენილი უმცირესი სარწმუნო სხვაობის მაჩვენებლები. იგი საშუალოდ შეადგენს 5,2 ც/ჰა-ზე.

ჩვენ მიერ გამოცდილი დანარჩენი ჯიშები: თბილისური, ივერია და ჰიბრიდი—2, ქუთათურთან შედარებით 2-ჯერ მეტ მოსავალს იძლევიან. მათი მოსავლიანობა საშუალოდ 13,8—17,6 ც/ჰა ფარგლებში მერყეობს, რაც აგრეთვე სტატისტიკურად სარწმუნო აღმოჩნდა.

ფოთლის მოსავლიანობის მხრივ, გამოცდილ თუთის ჯიშებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ოშიმა და უცნობი იაპონური, რომელნიც ფოთლის მეტ მოსავალს იძლევიან ვიდრე თბილისური, ივერია, ჰიბრიდი—2, მცხეთური და გრუზნიიშ—4. მაგრამ სხვაობა სტატისტიკურად არ არის სარწმუნო მხოლოდ მათსა, მცხეთურსა და გრუზნიიშ—4 შორის.

თუთის ჯიშების ერთ-ერთ საყურადღებო სამეურნეო ნიშან-თვისებას წარმოადგენს ახალგაზრდა ნარგავების ფოთლის მოსავლის ნამატი წლების მიხედვით.



ფოთლის ფიშები

ფოთლის მოსავლის მატება ექსპლოატაციის წლებს მიხედვით

გეგმვა

ფიშების სახეობა	გეგმვა			
	მე-1	მე-2	მე-3	მე-4
1. ქუთათური	100	111	170	109
2. თბილისური	100	116	156	186
3. ოშიმა	100	170	180	230
4. იაპონური უცნობი	100	148	138	188
5. ივერია	100	115	124	141
6. მცხეთური	100	84	98	116
7. გრუზინიშ-4	100	162	164	233
8. პიბრიდი-2	100	111	95	104
საშუალო	100	126	135	164

როგორც მე-4 ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ფოთლის მოსავლიანობა ყველა ჯიშის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით იზრდება ექსპლოატაციის მე-2 წელს 26%-ით, ხოლო მე-3 წელს—35%-ით. ფოთლის მოსავლის მკვეთრი მატება იწყება ექსპლოატაციის მე-4 წელს, როდესაც მისი ნამატო საშუალოდ 64%-ს შეადგენს.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ თუთის ზოგიერთი ჯიში, მიუხედავად ძლიერი დაავადებისა, ყოველწლიურად ფოთლის მეტ მოსავალს იძლევა. ვიდრე ექსპლოატაციის დაწყების პირველ წელს (1972). ასეთ ჯიშებს მიეკუთვნებიან: ოშიმა, გრუზინიშ-4, თბილისური და ივერია. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევიან ოშიმა და გრუზინიშ-4, რომელთა ფოთლის მოსავალი ექსპლოატაციის პირველ წელთან შედარებით შეადგენს ოშიმასათვის მე-2 წელს 170%-ს, მე-3 წელს—180%-ს და მე-4 წელს—230%-ს, ხოლო გრუზინიშ-4-თვის შესაბამისად 162—164—233%. რაც შეეხება დანარჩენ ჯიშებს (მცხეთური პიბრიდი-2, იაპონური უცნობი და ქუთათური), მართალია, ისინი ექსპლოატაციის მე-4 წელს პირველ წელთან შედარებით მეტ ფოთლის მოსავალს იძლევიან, მაგრამ სხვადასხვა წლებში მათზე აღილი ჰქონდა ფოთლის მოსავლის შემცირებას. ასე, მაგალითად: მცხეთურის მოსავალმა მე-2 წელს პირველთან შედარებით დაიკლო 3,5 ც-ით. პიბრიდი-2-სა და იაპონური უცნობის მოსავალმა დაიკლო მე-3 წელს და მე-2-სთან შედარებით მოგვეცა პიბრიდი-2-მა 2,8 ც-ით და იაპონურმა უცნობმა 1,6 ც-ით ნაკლები ფოთლი, ხოლო ქუთათურმა 3,5 ც-ით შემცირებული მოსავალი მოგვეცა მე-4 წელს წინა წელთან შედარებით.

როგორც ვხედავთ, როგორც დაავადების გამოვლინებაში, ისე მოსავლიანობაშიც წლების მიხედვით აღინიშნება პერიოდულობა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ჯიშების გამძლეობის შეფასებისათვის აუცილებელია მოსავლის მრავალწლიური მაჩვენებლები.

ასევე გამოირკვეა, რომ გამოცდილი ჯიშების მცენარეთა დაავადებულობისა და მათი ინტენსივობის პროცენტი წლების მანძილზე დიდად მერყეობს, მასთან საკმაოდ მაღალია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფოთლის მოსავალი ჯიშების მიხედვით, მცირე გამოჩაყლისის გარდა ყოველწლიურად იზრდება.

ვინაიდან შედარებით გამძლე ჯიშებზე დაავადების პროცენტი იმდენად მაღალია, რომ გამძლე ჯიშებზე მათ ჩათვლას ეჭვის ქვეშ აყენებს, მაგრამ მათზე ფოთლის მოსავლის დაკლებას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ ღლეისათვის, როდესაც ჭერჭერობით არ გავავანია იმუნური ძეგლების ჯიშში, ჯიშების რეკომენდაციის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთდროულად როგორც დაავადების, ისე ფოთლის მოსავლის მაჩვენებლებითაც.

დასკვნა

1. შედარებით გამძლე თუთის ჯიშების დაავადებისა და დაავადების ინტენსივობის პროცენტი მკვეთრად იზრდება ნარგაობის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ.

2. მიუხედავად გამოცდილი ჯიშების ხუჭუჭა წვრილფოთლიანობით ძლიერი დაავადებისა ფოთლის მოსავლის შემცირებას ადგილი არ ჰქონია ჯიშებზე თბილისურსა, გრუზნიიშ—4-სა, ოშიმასა და ივერიაზე.

3. გამოცდილი თუთის ჯიშებიდან ფოთლის მაღალმოსავლიანობით გამოირჩევიან ჯიშები: იაპონური უცნობი და ოშიმა, ხოლო ფოთლის მოსავლის ყოველწლიური მატებით—გრუზნიიშ—4, ოშიმა, იაპონური უცნობი, თბილისური და ივერია.

4. გამძლე ჯიშების გამოვლინებასა და რეკომენდაციის მიცემისას დაავადებისა და დაავადების ინტენსივობის პროცენტთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფოთლის მოსავალი.

5. გამოცდილი ჯიშებიდან წარმოებაში ფართო გავრცელებისათვის უპირატესობა უნდა მიეცეს ჯიშებს: ოშიმას, გრუზნიიშ—4-სა და იაპონურ უცნობს.

М. Г. ЗЕДГИНИДЗЕ

УСТОЙЧИВОСТЬ СОРТОВ ШЕЛКОВИЦЫ К КУРЧАВОЙ МЕЛКОЛИСТНОСТИ И ИХ ПРОДУКТИВНОСТЬ.

Резюме

В статье приводятся результаты по продуктивности и устойчивости к курчавой мелколистности рекомендованных производству и некоторых других сортов шелковицы, полученные в период 1970-1975 гг. в условиях Кутаиси.

Сорта шелковицы Тбилисури, Ошима, Японский неизвестный, Кутаури, Иверия, Мдхетури, ГрузНИИШ — 4 и Гибрид — 2 наиболее сильно болеют курчавой мелколистностью после эксплуатации, но несмотря на это насаждения некоторых сортов (Тбилисури, ГрузНИИШ — 4, Ошима, Иверия) в последующие годы увеличивают урожай листа.

При выявлении устойчивых к курчавой мелколистности сортов шелковицы и рекомендации производству следует принять во внимание пока-

ათელი პროცენტი და ინტენსივობა დაავადების, აგრეთვე ურთიერთობა მათაშ
შედეგად პათოგენეზის.



ქართული

ბიბლიოთეკა

ლიტერატურა — Литература

1. Т. И с и я . Болезнь курчавости листьев (карликовость) шелковицы.
Из журнала «Нихон сукубехо», т. 31. 1965. ст. 139-144.
2. შ. კაკულია, კ. ებანიძე, ნ. თვალკრელიძე. თუთის ახალი და-
ავადება წვრილფოთოლა სიხუტუტე საქართველოს პირობებში. საქ-
სას.-სამ. ინსტ. შრომები, ტ. 20. 1966.
3. შ. კაკულია. რეკომენდაცია თუთის წვრილფოთოლა სიხუტუტის წინააღ-
მდეგ ბრძოლისა და შედარებით გამძლე ჯიშების შესახებ. თბ., 1975.
4. А. К и е с и . Вирусные заболевания шелковицы.
Из журнала «Секубуцу боэки», т. 13 № 4 1959, ст. 149-153.
5. А. В. Коркашвили, К. А. Эбанидзе. Эффективность длин-
ной подрезки веток при весенней эксплуатации шелковицы.
Тр. Груз. СХИ т. 91. Тб. 1975.
6. Н и с и г а в а М а с а г о . Профилактика карликовой болезни тутовое-
го дерева. Токио. тл. 6. 1929.



საკაცვო — ОГЛАВЛЕНИЕ

მ. შაბლოვსკაია, ვ. ბერძენი, ვ. ნიკურაძე — წერილფოთოლა სიხევეჭი- სადში გამწვანო თეთის სელექციის შედეგები	17
М. И. Шабловская, В. Г. Бердзенидзе, В. Г. Никурадзе — Резуль- таты селекции устойчивости к курчавой мелколистности сортов шелковицы	7
А. Г. Кафиаи — Влияние многолетнего применения удобрений на урожай листа шелковицы	30
მ. კაკელია, ნ. სურგულაძე, ი. კოტორღიშვილი — თეთის თესლის ზოგიერთი ანტიბიოტიკით დამუშავების გავლენა თესლნერგების ზრდასა და წერილფოთოლა სიხევეჭით დაავადებაზე	11
М. А. Какулия, Н. И. Сургуладзе, И. О. Чоторлишвили — Влияние обработки семян шелковицы антибиотиками на рост сеянцев и на заболе- ваемость курчавой мелколистностью	21
В. Г. Бердзенидзе — Увядаемость листьев различных сортов шелковицы	23
Ц. А. Джапаридзе — Косвенные показатели, как один из методов раннего диагностирования полиплоидов шелковицы	29
Н. А. Степанишвили — Зависимость химического состава листа от типа платтации шелковицы	33
ც. წერეთელი, ნ. მურვანიძე, მ. კაკელია, ნ. კახაძე — შორიშლავ ნვითი- რებათა შემცველობა ვრჯიას ჯიშის თეთის საღ და წერილფოთოლა სიხევეჭით დაავადებულ შტენარეში	39
Ц. А. Церетели, Н. С. Мурванидзе, М. А. Какулия, И. В. Каха- дзе — Содержание дубильных веществ в здоровых и зараженных курчавой мелколистностью в растениях шелковицы	42
ნ. თვალჭრელიძე — წერილფოთოლა სიხევეჭისადში შედარებით გამწვანო თეთის ავტოლობრივი ფორმების გამოვლინების წინასწარი შედეგები	45
Н. А. Твалчрелидзе — Предварительные данные по выявлению сравнитель- но устойчивых к курчавой мелколистности местных форм шелковицы	49
Р. В. Квачадзе — Влияние прививки глазком на изменчивость форм листа шелковицы	51
В. В. Одикадзе, Ю. И. Помазков — Некоторые свойства белковых препа- ратов из шелковицы, пораженной курчавой мелколистностью	57
Э. П. Бабурашвили, Л. В. Ношпкашвили — Люминесцентная диагно- стика пестрицы тутового шелкопряда	68
მ. ამირანაშვილი — ზოგიერთი ქიმიური ნვითიერების გამოცდა თეთის აბრეშუმ- ხვევისას პოლიედროზის საწინააღმდეგოდ	69
М. К. Амيرانашвили — Испытание некоторых химических веществ против полиэдроза тутового шелкопряда	73
Т. З. Зауташвили — Использование листа гусеницами шелкопряда при корм- лении на побегах	75
მ. იობაშვილი — აბრეშუმხვევისას სიცოცხლისუნარიანობის ღონე სქესთან და პემოლიმფის ფორმან ელემენტებთან (მაკრონუკლეოტიტებთან) კავშირში	79
М. Е. Иобашвили — Зависимость уровня жизнеспособности гусениц ту- тового шелкопряда в связи с полом и форменными элементами гемолимфы (макроуклеоциты)	81
ლ. გიგორიანი, ქ. გოგინაშვილი, ვ. შახნაზაროვი, ნ. ლა- ბარტყავა — თეთის აბრეშუმხვევისას ზოგიერთი ნეიროსეკრეტული უჯრედის შესწავლა და მათი როლი განსხვავებულ დიამეტრის ინდივიდების განვითარებაში	83



შ. ც. გიგოლაშვილი, კ. გოგინაშვილი, ე. შახიზაროვ, ი. ი. ჯაბარტყავა — Изучение некоторых нейросекреторных клеток тутового шелкопряда и их роль в развитии индивидов с разным характером диапаузы	90
ა. დოლიძე, ჰ. კრაწაშვილი, ა. ძნელაძე — ხელოვნური ცახებში მრავალჯერადი თეთის აბრეშუმებზე გაყვანილობის ხარისხზე	90
მ. მ. დოვიძე, კ. ვ. კრაწაშვილი, ა. ი. ძვინელაძე — Влияние искусственных коконов на качество коконов тутового шелкопряда	96
თ. იხიაშვილი, ა. მარჯანიშვილი — საქართველოში გავრცელებული აბრეშუმის ჭიის ჰიბრიდებისა და მათი გამოსავალი წმინდა ჭიშების პარკის მორფოლოგიური და ტექნოლოგიური მანერებები	99
ო. ვ. ივანიშვილი, ა. ს. მარჯანიშვილი — Морфологические и технологические показатели коконов гибридов и исходных пород тутового шелкопряда, разводимых в Грузинской ССР	105
გ. ნიკოლეიშვილი, ლ. აფხაზაია, ზ. კუხიანიძე, ც. ნიკოლეიშვილი — შრომის ნაყოფიერების როლი და მისი ამაღლების გზები შეაბრეშუმებში	109
ტ. ვ. ნიკოლეიშვილი, ლ. მ. აფხაზაია, ზ. კუხიანიძე, ი. მ. ნიკოლეიშვილი — Уровень производительности труда и шелководстве и пути его повышения	115
ე. დ. შანიანიძე — К вопросу механизированной посадки иколы саженцев шелковниц	117
ვ. ზედაგინიძე — თეთის ჭიშების გაძვლვა ხეკვება წერილფოთლიანობისადმი და მათი პროდუქტიულობა	123
მ. ტ. ზედგინიძე — Устойчивость сортов шелковницы к курчавой мелколистности и их продуктивность	127



სარედაქციო-საგამომცემლო
ვანუფილების რედაქტორები: ჯ. ბობოხიძე, რ. ვაჩნაძე, ე. ხარაზიშვილი,
მ. დოლიძე, მ. თორელიშვილი.

№ 1490

№ 15088

ტ. 500

გადაცა წარმოებას 15/XI-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/XII-76 წ. ანაწილების წიგნი
7X11. სასტამბო თაბახი 7,75. სააღრიცხვო-საგამომცემ. თაბახი 9,0
ფასი 64 კაპ.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სსრ-ის საზოგადოებრივი ინსტიტუტის სტამბა,
თბილისი-31, დიდოში.

Типография Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института, Тбилиси-31, Дидоми.

2.3.9/57

